ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანი ლემონჯავა

ძალაუფლებრივი დისკურსი ქართველი პოლიტიკოსი ქალების ნარატივებში (პოლიტიკური გადაცემების საფუძველზე)

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ლია წულაძე
სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
ამირან ბერძენიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი, თსუ პროფესორი

თბილისი
2018

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულ სატელევიზიო პოლიტიკურ გადაცემებში (ტოქშოუებში) ქართველი ქალი პოლიტიკოსების მხრიდან გამოვლენილი ძალაუფლებრივი დისკურსის კვლევას.

საზოგადოებაში გავრცელებულია სტერეოტიპული ხედვა, რომ ქალის ენა, კაცის ენასთან შედარებით, ძალაუფლებას მოკლებულია. მე მაინტერესებდა, ერთ კონკრეტულ სფეროში, პოლიტიკაში, მეკვლია ქალის ენა და მისი გამოვლენის თავისებურებანი. რადგან პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის ძირითად მედიატორად მედია გვევლინება, ამიტომ ქალი პოლიტიკოსების დისკურსს ვიკვლევ მედიაში, კერძოდ, სატელევიზიო პოლიტიკურ ტოქშოუებში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასმულია შემდეგი ძირითადი ამოცანები, რომ შევისწავლო თუ:

- როგორ ახდენენ ვერბალურ თვითპრეზენტაციას ქართველი ქალი პოლიტიკოსები და რა იდეოლოგიური დატვირთვა აქვს მათ ნარატივს;
- რა ექსპრესიული ღირებულება აქვს მათ ნარატივს და რა ხერხებით ცდილობენ აუდიტორიის ემოციების გაძლიერებას;
- როგორ აისახება ქართულ რეალობაში ქალის სტატუსი პოლიტიკაში, ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივების გზით.

კვლევაში გამოვიყენე თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, დისკურსის კრიტიკული ანალიზი. კვლევისთვის ოთხ სხვადასხვა არხზე, შევარჩიე 4 პოლიტიკური გადაცემა (ტოქშოუ). დისკურსის კრიტიკული ანალიზის გამოყენებით გავაანალიზე 50 გადაცემა.

გადაცემების დისკურსული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსები თავიანთ ნარატივებში ცდილობენ ძალაუფლების დემონსტრირებას და საზოგადოების წინაშე სასურველ თვითპრეზენტაციას სხვადასხვა ინტერაქტიული სტრატეგიებით. ეს გამოიხატება ექსპრესიული მნიშვნელობის მქონე სიტყვების გამოყენებით, რაც სოციალური სტატუსის ხაზგასმას ემსახურება. ასევე, საუბრისას გამოყენებულია სხვადასხვა მეტაფორა ოპონენტების დისკრედიტაციისთვის. მათი ნარატივების დისკურსული ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორ წარმოაჩენენ ქართველი ქალი პოლიტიკოსები თავიანთ როლს ქართულ პოლიტიკაში. ისინი ცდილობენ,

მაყურებლების წინაშე წარსდგნენ, როგორც ძალაუფლების მქონე აქტორები, რომლებიც შესაბამის რიტორიკულ პერფორმანსს სთავაზობენ აუდიტორიას.

Annotation

Ani Lemonjava

Power Discourse in Georgian Female Politicians' Narratives (Based on Political Talk-Shows)

The purpose of the work is to study power discourse in Georgian female politicians' narratives, which is based on political talk shows.

It is believed that women's language is more powerless than men's language. I was interested to study women's language and its characteristics in a concrete field, namely, politics. As media is the main mediator between politics and society, I have decided to study Georgian female politicians' discourse in media, in particular, in political talk shows on TV.

Based on the research goal, the following objectives have been identified to study:

- Georgian female politicians' verbal self-presentations and ideological value of their narratives;
- Expressive value of their words and the means of reinforcing the audience's emotions;
- The status of woman in Georgian politics as reflected in Georgian female politicians' narratives.

The research is based on qualitative method, in particular, Critical Discourse Analysis. 4 political talk shows have been analyzed from four different TV channels. Through the Critical Discourse Analysis I have analyzed 50 programs.

As a result of discourse analysis it has been revealed that Georgian female politicians use various interactive strategies to demonstrate their power and stage desirable self-presentation. By using the words that have expressive value they attempt to emphasize their social status. Besides, they use various metaphors to discredit their opponents. Critical discourse analysis reveals how Georgian female politicians stress their role in Georgian politics. They present themselves as powerful actors through offering the audience respective rhetorical performance.

სარჩევი

შესავალი 6

1. თეორიული ნაწილი 14

1.1. ლაკოფის თეორია - ,,ქალის ენა“ 14

1.2. დომინანტობისა და განსხვავების თეორია 15

1.3. სოციალური როლის თეორია 17

1.4. სოციალური სტერეოტიპები 18

1.5. მანიპულაცია - ძალაუფლების გამოხატვის სოციალური პრაქტიკა 20

1.6. „როგორ ვაკეთოთ საქმე სიტყვებით“ – “How to Do Things with Words” 22

1.7. გრამში - „კულტურული ჰეგემონია“ 23

1.8. მეტყველების სტილი, როგორ განმასხვავებელი ნიშანი 24

1.9. Footing 24

2. ემპირიული ნაწილი 26

1.1. თავაზიანი საუბარი და აუდიტორიის ემოციების გაძლიერება 26

1.2. თვითპრეზენტაცია და ძალაუფლების დემონსტრირება 30

1.3. გამოყენებული გრამატიკული ხერხები (მეტაფორა, ნაცვალსახელები და სინონიმები) 41

დასკვნა **47**

გამოყენებული ლიტერატურა: **49**

შესავალი

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა

ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების კვლევა მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც რობინ ლაკოფმა თავის ესეში ისაუბრა ,,ქალის ენაზე.“ საინტერესოა ის, რომ ქალისა და მამაკაცის საუბარს ხშირად განასხვავებენ ერთმანეთისგან. ლაკოფის მიხედვით, ქალების საუბარში მკაფიოდ ჩანს არის თუ არა მათი ენა ,,ძალაუფლებას მოკლებული.“ ქალები საუბრისას თავს არიდებენ მტკიცე პოზიციის დაფიქსირებას. ლაკოფის აზრით, ის რომ ქალის დისკურსი აღიქმება, როგორც ძალაუფლებას მოკლებული, განსხვავებით კაცის დისკურსისგან, ეს კიდევ ერთხელ განამტკიცებს ქალისა და მამაკაცის არათანაბარ როლსა და ადგილს საზოგადოებაში (Lakoff, 1975). უილიამ ო ბარმა და ბაუმან ატკინსმა კვლევა ჩაატარეს სასამართლოში, სადაც ქალისა და მამაკაცის დისკურსის მიხედვით იმსჯელეს არის თუ არა ქალის ენა ,,ძალაუფლებას მოკლებული.“ მათ დაადგინეს, რომ ეს უთანასწორობა უფრო მეტად დაკავშირებულია სოციალურ კლასთან, ვიდრე სქესთან, რადგან სასამართლოში მოსმენილი საუბრებიდან თითოეული ადამიანის დისკურსი განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ რა სოციალური სტატუსის მატარებლები იყვნენ ისინი. ასევე, მათ დისკურსში იგრძნობოდა, რომ ზოგიერთ მათგანს სასამართლო დარბაზში ყოფნის ნაკლები გამოცდილება ჰქონდა. სასამართლოში ყოფნისას, ქალები თავიანთ საუბარში იყენებდნენ მოსმენით რეპლიკებს, მიმართვის თავაზიან ფორმებს, ნაკლებ იუმორს და ასევე ახასიათებდათ მოვლენებისა და ფაქტების გაზვიადება (O’Barr & Atkins 1980).

ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების კვლევა ორ ძირითად ასპექტს მოიცავს. პირველი არის სოციოლინგვისტური მიდგომა, რომელიც ენასა და გენდერს განიხილავს სოციალურ კლასთან მიმართებით. პიტერ ტრადგილმა ჩაატარა კვლევა ნორიჯში, ბრიტანეთში მცხოვრები ერთი და იმავე სოციალური კლასის წარმომადგენელი ქალებისა და მამაკაცების ნარატივების გამოყენებით. მან დაასკვნა, რომ ქალები უფრო ხშირად იყენებდნენ ენის სტანდარტულ ფორმას, ანუ სტანდარტული ინგლისურით საუბრობდნენ, მაშინ როცა მამაკაცები ადგილობრივ დიალექტს იყენებდნენ. ტრადგილის მიხედვით, ქალებისა და მამაკაცების მიერ გამოყენებული ენობრივი მახასიათებლები არამხოლოდ სოციალურ კლასთან, არამედ გენდერთანაც არის

დაკავშირებული, რადგან მამაკაცების მიერ გამოყენებული ადგილობრივი დიალექტის ფორმები მათ მასკულინურ ხასიათზე მიუთითებს (Coates, 1997).

მეორე ასპექტი, რომელიც მნიშვნელოვანია ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების კვლევისას, კავშირშია არა მხოლოდ ფონოლოგიას, მორფოლოგიასა და ლექსიკასთან, არამედ ენასთან, როგორც ,,კონკრეტულ საარსებო ერთბლიობასთან" (Bakhtin, 1981), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსთან (Coates, 1997). ავტორების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ დისკურსი და ამასთანავე გენდერი დაკავშირებულია როგორც სქესთან, ასევე სოციალურ კლასთან. ამას გარდა, დისკურსში აისახება გენდერული და კლასობრივი კუთვნილება. ადამიანის საუბრიდან შეიძლება დავასკვნათ, რა სტატუსის მატარებელია ის. გარდა ამისა, ინდივიდი იყენებს ენას, რათა გამოხატოს მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ენას, როგორც სოციალურ პრაქტიკას განიხილავს ნორმან ფერკლოუ და ამასთანავე ამტკიცებს, რომ ,,ენის ელემენტი" გახდა უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ასპექტი საზოგადოების ცვლილებებისა და გარდაქმნისთვის (Fairclough, 1995). ვოდაკისა და ვაისის თქმით, სწორედ ენის საშუალებით ხდება დისკრიმინატორული პრაქტიკების დადგენა და ენაშივე ვლინდება ძალაუფლების არათანაბარი მხარეები(Weiss and Wodak, 2003: 15).

სასამართლოში ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, გადავწყვიტე მეკვლია ძალაუფლებრივი დისკურსის გავლენა. ამ საკითხზე საუბრისას, ყველაზე საინტერესო სფერო ალბათ პოლიტიკაა, რადგან პოლიტიკური ძალაუფლება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ენასთან და სიმბოლურ ძალაუფლებასთან. გარდა ამისა, სწორედ პოლიტიკოსები ახდენენ ენის დახმარებით ძალაუფლებრივი ხასიათის წარმოჩენას. პოლიტიკაში კი ერთ-ერთ მთავარ როლს მედია თამაშობს. კასტელსის თეორიის მიხედვით, მედია პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობს, არა კონკრეტული შინაარსის გამო, არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია დღეს ეწეოდე პოლიტიკას, თუ საქმე და მისადგომი არ გაქვს მედიასთან(Castells, 1996). მედია უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ჩვენს მსოფლშეგნებასა და პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბებაზე. მრავალი პოლიტიკური მოვლენის, მათ შორის არჩევნების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ინფორმაცია მიმდინარე პოლიტიკურ ხდომილებებზე, პარტიებსა და კანდიდატებზე არ იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. იმ ადამიანებისთვისაც კი, ვისაც

არ აინტერესებთ პოლიტიკა და მასზე სუსტი წარმოდგენა აქვთ, მედიიდან მაინც არის ცნობილი გარკვეული ინფორმაცია ეროვნული და საერთაშორისო მოვლენების შესახებ (ბერძენიშვილი, 2012, socium.ge). ჩემი აზრით, როცა მედიაში ვიკვლევთ ძალაუფლებრივ დისკურსს, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ დისკურსის იდეოლოგიურ მნიშვნელობაზე. დამაინტერესა გამერკვია მართლდება თუ არა ქართულ საზოგადოებაში ის მოსაზრება, რომ ქალების ენა ,,ძალაუფლებას მოკლებული ენაა?" ამიტომ ჩემი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ქართველი პოლიტიკოსი ქალების ძალაუფლებრივი დისკურსის კვლევა ქართულ მედიაში, საკვლევ სივრცედ კი ავირჩიე ტელევიზია. საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ტელევიზიას იყენებს, როგორც ინფორმაციის მიღებისა და გართობის ერთ-ერთ საშუალებას. დღეს მედია განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში, რადგან მედიას შეუძლია რეალობის კონსტრუირება. შესაბამისად, მედიაში გამოსვლისას პოლიტიკოსები იყენებენ ოფიციალურ დისკურსს და ახდენენ თვითპრეზენტაციას ელექტორატის წინაშე, რათა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ მათზე. ამაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ირვინ გოფმანის წიგნი სახელწოდებით ,,თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში," სადაც იგი საუბრობს შესრულებაზე (performance) და განიხილავს, თუ როგორ მალავს ადამიანი თავის ნამდვილ სახეს და არანამდვილი სახის დემონსტრირებას ახდენს. ამის გამოსავლენად კი საუკეთესო საშუალებაა ენა, რომელიც ადამიანს ეხმარება ერთდროულად აზრების როგორც გამოვლენაში, ასევე დაფარვაში. გოფმანი იყენებს ტერმინს ,,წინა რეგიონი." ,,წინა რეგიონი" არის ის სივრცე, სადაც შემსრულებელმა თავისი თავი აუდიტორიას უნდა წარუდგინოს და მასზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინოს (Goffman, 1959). ვფიქრობ, ქართველი პოლიტიკოსი ქალების დისკურსის კვლევისას ამ ცნებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პირველ რიგში, საინტერესოა, რა ხერხებს მიმართავენ ქართველი პოლიტიკოსი ქალები მედიაში გამოსვლისას. ასევე, რა მახასიათებლები ვლინდება მათ დისკურსში და რამდენად არის დაკავშირებული მათი დისკურსი მათ სოციალურ სტატუსთან? საინტერესოა, ახდენს თუ არა ქართველი ქალი პოლიტიკოსების დისკურსზე გავლენას ის ფაქტი, რომ მათი ენა, კაცების ენისგან განსხვავებით, უფრო ,,რბილ" და ,,ძალაუფლებას მოკლებულ" ენად ითვლება?

ჩემი ნაშრომის **მიზანია** ვიკვლიო, თუ როგორ ვლინდება ძალაუფლებრივი დისკურსი ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივებში სატელევიზიო პოლიტიკურ გადაცემებში (ტოქშოუებში).

დასახული მიზნის შესაბამისად, დასმულია შემდეგი ძირითადი **ამოცანები**:

1. როგორ ახდენენ ვერბალურ თვითპრეზენტაციას ქართველი ქალი პოლიტიკოსები და რა იდეოლოგიური დატვირთვა აქვს მათ ნარატივს?
2. რა ექსპრესიული ღირებულება აქვს მათ ნარატივს და რა ხერხებით ცდილობენ აუდიტორიის ემოციების გაძლიერებას?
3. როგორ აისახება ქართულ რეალობაში ქალის სტატუსი პოლიტიკაში, ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივების გზით?

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზა**:

ქართველი ქალი პოლიტიკოსების საუბრის კვლევა დისკურსის კრიტიკული ანალიზის გამოყენებით, ნათლად დაგვანახებს იმას, თუ როგორ ახდენენ ისინი ფართო აუდიტორიის წინაშე თავიანთი ძალაუფლებრივი დისკურსის გამოვლენას. ჩემი კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა არის ის, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსების დისკურსი ასახავს მათ სუბორდინირებულ სტატუსს და ნაკლებ ძალაუფლებას მამაკაცი პოლიტიკოსებით დომინირებულ გარემოცვაში.

კვლევის მეთოდური ნაწილი

კვლევის ძირითად მეთოდად გამოვიყენებ ნორმან ფერკლოუს დისკურსის კრიტიკული ანალიზის სამგანზომილებიან მოდელს, რადგან სწორედ დისკურსის კრიტიკული ანალიზი დამეხმარება ვიკვლიო, თუ როგორ ვლინდება ქართველი პოლიტიკოსი ქალების დისკურსში ძალაუფლება. ფერკლოუ თავის მოდელში გამოყოფს სამ ელემენტს: ტექსტი, ინტერაქცია და სოციალური კონტექსტი. ეს ელემენტები გვეხმარება გავაანალიზოთ სოციალურ კონტექსტსა და ინტერაქციას შორის კავშირი. ფერკლოუს მიხედვით, ტექსტის ანალიზი სამი ნაწილისგან შედგება, ესენია: ლექსიკა, გრამატიკა და ტექსტური სტრუქტურა. თითოეულ მათგანში გამოყოფილია საკვლევი კითხვები.

ლექსიკა:

1. რა გამოცდილებითი ღირებულება გააჩნიათ სიტყვებს? (რამდენად მნიშვნელოვანი იდეოლოგიური კავშირებია სიტყვებს შორის (სინონიმები, ანტონიმები, ჰიპონიმები?))

2. რა მიმართებითი ღირებულება აქვთ სიტყვებს? (არის თუ არა გამოყენებული ევფემიზმები, გამოყენებული სიტყვები ფორმალურია თუ არაფორმალური?)

3. რა გამომხატველობითი მნიშვნელობა აქვთ სიტყვებს?

4. როგორი მეტაფორებია გამოყენებული?

გრამატიკა

1. რა გამოცდილებითი ღირებულება გააჩნიათ გრამატიკულ სტრუქტურებს? (გამოყენებული წინადადებები მოქმედებით გვარშია თუ ვნებით გვარში? წინადადებები დადებითია თუ უარყოფითი?)

2. რა მიმართებებია გრამატიკულ მახასიათებლებს შორის? (წინადადებები თხრობითია, კითხვითი თუ უარყოფითი? გამოყენებულია თუ არა ნაცვლსახელები, როგორებიცაა მე/ჩვენ, შენ/თქვენ და თუ გამოყენებულია, რა კონტექსტში?)

3. როგორ არის წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენად ლოგიკურია მათი დაკავშირება? (რთული წინადადებები ქვეწყობილია თუ თანწყობილი?)

ტექსტური სტრუქტურა

1. რა ინტერაქციული კონვენციებია გამოყენებული? (აკონტროლებს თუ არა ერთი მონაწილე სხვა მონაწილეების საუბრის თანმიმდევრობას?)

2. კონკრეტული ტექსტი ახდენს თუ არა სხვა უფრო ფართო კონტექსტზე აპელირებას და რა გზით? (Fairclough, 1989 გვ. 110-111).

ზემოხსენებული სამგანზომილებიანი მოდელის გამოყენებით ვიკვლევ, რა მნიშვნელობის მატარებელია ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოყენებილი ლექსიკური თუ გრამატიკული ხერხები, რა იდეოლოგიური და ექსპრესიული დატვირთვის მატარებელია ისინი, და როგორ ვლინდება მათი ნარატივების საფუძველზე ქალის სტატუსი პოლიტიკურ ველში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევარჩიე შემდეგი სატელევიზიო პოლიტიკური გადაცემები (ტოქშოუები):

პირველი არხი

,,აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად,“ ორშაბათი - ხუთშაბათი 21:30

რუსთავი 2

,,არჩევანი“ - (წამყვანი გიორგი გაბუნია), სამშაბათი 22:00

იმედი

,,პირისპირ“ - (წამყვანი ირაკლი ჩიხლაძე), სამშაბათი 22:00

პირველი TV

,,რეაქცია'' - (წამყვანი ინგა გრიგოლია), სამშაბათი, ხუთშაბათი 20:00

ამ პოლიტიკურ გადაცემებს საერთო აქვთ ის, რომ თითოეული მათგანის წამყვანები ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკურად აქტუალურ და სკანდალურ თემებზე და ამის შესაბამისად იწვევენ სტუმრებს სადისკუსიოდ. თითოეული გადაცემის თემატიკა ეხება კვირის განმავლობაში ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებს. ამასთანავე, თითოეული გადაცემა საკმაოდ რეიტინგული და პოპულარულია. ამ გადაცემებში მოწვეული სტუმრების ნარატივების დისკურსის კრიტიკული ანალიზი მომცემს საშუალებას, გავარკვიო და გავაანალიზო, თუ როგორ აისახება ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივში მათ ხელთ არსებული ძალაუფლება/ძალაუფლების ნაკლებობა და როგორ ცდილობენ დისკურსულ დონეზე მის გაძლიერებას.

კვლევისთვის შევარჩიე 2017 წლის მარტი - 2018 წლის მაისი, ამ პერიოდში ეთერში გასული გადაცემებიდან ჩემი კვლევისთვის თემატურად მნიშვნელოვანი იყო 50 გადაცემა. ეს პერიოდი იმიტომ ავირჩიე, რომ მინდოდა მაქსიმალურად გამეანალიზებინა ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივები და შემეგროვებინა მონაცემები ჩემი კვლევისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ გადაცემებში ნაკლებად იწვევენ ქალ პოლიტიკოსებს, საკვლევად ავიღე ბოლო 15-თვიანი პერიოდი. სამიზნე ჯგუფად კი შევარჩიე როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი პოლიტიკოსი ქალები, ესენია: კოალიცია ,,ქართული ოცნება“ - თეა წულუკიანი, ეკა ბესელია და ანი მიროტაძე (რომელმაც რამდენიმე თვის წინ დატოვა

კოალიცია ,,ქართული ოცნება“ და გახდა ,,ეროვნული ფორუმის“ წევრი); ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - თინათინ ბოკუჩავა; ,,ევროპული საქართველო“ - ელენე ხოშტარია; ,,დემოკრატიული მოძრაობა“ - ნინო ბურჯანაძე; ფრაქცია ,,საქართველოს პატრიოტი“ - ადა მარშანია და ირმა ინაშვილი. შერჩეული პერიოდის განმავლობაში, მედიაში პოლიტიკასთან დაკავშირებული ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები გაშუქდა. სწორედ ამ პერიოდში იყო როგორც საპარლამენტო, ასევე თბილისის მერის არჩევნები. ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი პოლიტიკოსი ქალები ამ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ვფიქრობ, ეს ფაქტორები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემი კვლევის საკვანძო საკითხების შესასწავლად.

ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა: გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, გარკვეულწილად, ჩემი კვლევა იქნება ახალი სიტყვა ამ საკითხით დაინტერესებული აუდიტორიისთვის. ვფიქრობ, ნაშრომში წამოჭრილი საკითხები და მონაცემების ანალიზი საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტებისთვის, მკვლევარებისთვის და ზოგადად, ქართული პოლიტიკის ანალიზით დაინტერესებული ადამიანებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა ,,ქალის ენა,“ ასევე გენდერის, ძალაუფლების და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხები. ეს კონკრეტული კვლევა გვაჩვენებს, როგორ ვლინდება მედიაში ქართველი პოლიტიკოსი ქალების მხრიდან ძალაუფლება და რა ხერხებს მიმართავენ ისინი თავიანთი სოციალური სტატუსის წარმოსაჩენად და გასამყარებლად.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ველში ქალის ძალაუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მეტი ყურადღების გამახვილებას, როგორც საზოგადოების, ისე ჟურნალისტების და პოლიტიკურ გადაცემებში მიწვეული სტუმრების მხრიდან.

კვლევის შეზღუდვები: კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს შერჩეული გადაცემების რაოდენობის სიმცირე. სხვადასხვა ტელეარხზე, უფრო მეტი პოლიტიკური გადაცემის შერჩევის შემთხვევაში, მექნებოდა შესაძლებლობა, რომ გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი ინფორმაცია მომეძიებინა და გამეანალიზებინა, რაც, რასაკვირველია, უფრო სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას მომცემდა. გარდა ამისა, რადგან

მედიაში ვიკვლევ ძალაუფლებრივ დისკურსს, ცხადია, არ მაქვს იმის საშუალება, რომ გავარკვიო, როგორია ,,კულისებში“ ქართველი ქალი პოლიტიკოსების დისკურსი. ვფიქრობ, მათი ნარატივების კვლევა როგორც მედიაში, ასევე პოლიტიკურ შეხვედრებზე ან მათ სამსახურში, ძალიან საინტერესო შედარებითი ანალიზის შესაძლებლობას მომცემდა.

1. თეორიული ნაწილი

1.1. ლაკოფის თეორია - ,,ქალის ენა“

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ძალაუფლებრივ დისკურსს ქართველი პოლიტიკოსი ქალების ნარატივებში (პოლიტიკური გადაცემების საფუძველზე). კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ემპირიული მონაცემების ასახსნელად გამოვიყენებ რამდენიმე ავტორის თეორიას. პირველი თეორიის ავტორია რობინ ლაკოფი, რომელმაც 1975 წელს, გამოსცა წიგნი, სახელწოდებით - ,,ენა და ქალის ადგილი,“ სადაც ის საუბრობს ქალის ენაზე. ვფიქრობ, ლაკოფის თეორია დამეხმარება ჩემი ემპირიული მონაცემების ახსნაში, თუ რამდენად ახასიათებთ ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივებს ,,ქალის ენისთვის“ დამახასიათებელი თვისებები და რამდენად ვლინდება მათი გზით ქალის სუბორდინირებული პოზიცია პოლიტიკურ ველში.

რობინ ლაკოფს ჩამოთვლილი აქვს ის მახასიათებლები, რომლებიც „ქალის ენას” „კაცის ენისგან” განასხვავებს; ესენია:

- ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორებიცაა: ,,ისე ჩანს, თითქოს,“ ,,მსგავსია.“
- თავაზიანი ფორმების გამოყენება: ,,წინააღმდეგი ხომ არ ხართ?,“ ,,დიდად დავაფასებ თუ...,“ ,,თუ თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი.“
- ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც ხაზს უსვამს და აძლიერებს სათქმელს, ესენია: ,,ძალიან,“ ,,საკმაოდ,“ ,,სრულიად.“
- ქალები იყენებენ გამართულ გრამატიკულ ფორმებს, სიტყვებს გამოთქვამენ მკაფიოდ და სწორად.
- ძალიან ხშირად იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა ,,მე ვფიქრობ, რომ...“
- ხშირად იხდიან ბოდიშს - ,,ვწუხვარ, მაგრამ, ჩემი აზრით...“
- ხშირად იყენებენ მოდალურ ზმნებს, მაგალითად: ,,შეგიძლიათ კარი დახუროთ?“ ან ,,შეგიძლიათ გათბობა გამორთოთ?.“ როცა მამაკაცი პირდაპირ იტყვის: ,,დახურეთ კარი“ ან ,,გამორთეთ გათბობა“(Lakoff, 1975:45-79).
- ქალებს ასევე ეხერხებათ კონფლიქტურ სიტუაციაში უკან დახევა (Falbo & Peplau, 1980; Fishman, 1983).

ენასა და გენდერზე მსჯელობისას, ლაკოფი ყურადღებას ამახვილებს ქალებისა და კაცების საუბრის სტილს შორის განსხვავებაზე. ავტორის თქმით, ქალების საუბარი ასოცირდება მათ ფემინურ მხარესთან. კაცებისგან განსხვავებით, ისინი უფრო მეტი თანაგრძნობით გამოირჩევიან. ქალები უსმენენ თანამოსაუბრეს და საუბრისას გამოხატავენ მხარდაჭერას. მეორე მხრივ, კაცები ასოცირდებიან ,,ძირითად როლთან", სიძლიერის გამოხატვისა და პრობლემების გადაჭრაში. ამასთანავე, მათი საუბრის სტილი აღიქმება, როგორც ,,უფრო საჯარო," რომელიც უპირატესობით სარგებლობს საჯარო გამოსვლებში (Lakoff 1975).

გარდა აშკარა ფიზიკური დომინანტობისა, ძალაუფლება, როგორც დომინანტური პარადიგმა, აღიქმება კაცების პრივილეგიად. ეს ხდება როგორც საჯარო სფეროში, ასევე ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სასამართლოში და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ქალისა და კაცის საუბარს. კაცის მიერ გამოხატული აგრესია და კამათი აღიქმება ბუნებრივად და შესაფერისად, მაგრამ ქალის მხრიდან აგრესია, კამათი ან თუნდაც ჯიბრიანობა აღიქმება, როგორც არაბუნებრივი და შეუსაბამო (Lakoff, 1975; Moulton, 1983).

კვლევების მიხედვით, კაცები უფრო ხშირად აწყვეტინებენ ქალებს საუბარს. კაცების დომინანატური ხასიათი ვლინდება საჯარო გამოსვლებში, როგორიცაა სატელევიზიო გადაცემები, სადაც მოდერატორები უმეტესად კაცები არიან. ქალებისგან განსხვავებით, კაცების საუბარი უფრო გრძელია, ისინი იყენებენ რთულ და გრძელ წინადადებებს. აქედან გამომდინარე, დავადგენ არის თუ არა ქართველი პოლიტიკოსი ქალების ენა კაცების ენისგან განსხვავებული? თუ არის, როგორ გამოხატავენ ამ განსხვავებულობას ისინი? გადაცემების ყურებისას ყურადღებას ვამახვილებდი არამხოლოდ პოლიტიკოსი ქალების, არამედ მათთან პოლემიკაში მყოფი კაცების საუბარზეც, რაც დამეხმარა უფრო ნათლად დამენახა მათ ნარატივებს შორის განსხვავება.

1.2. დომინანტობისა და განსხვავების თეორია

ენისა და გენდერის კვლევამ ორი ძირითადი პარადიგმა გამოაჩინა, ესენია: დომინანტობისა და განსხვავების პარადიგმა. პირველი ასოცირდება სპენდერთან (1980), ასევე ფიშმენს (1980), ზიმერმანსა და ვესტთან (1975). მეორე კი ასოცირდება დებორა

ტანენთან (1984). პირველი მათგანი - დომინანტობა, შეიძლება დავაკავშიროთ იმ ფაქტთან, რომ ქალისა და კაცის საუბრისას, სწორედ კაცია ის, ვინც ხშირად აწყვეტინებს ქალს. განსხვავებულობის თეორიის მიხედვით, ტანენი გამოყოფს ექვს კონტრასტულ მახასიათებელს, რომლებიც ახასიათებს ქალისა და კაცის ენას.

სტატუსი და მხარდაჭერა

ავტორი ამტკიცებს, რომ კაცები საუბრისას უფრო კონკურენტუნარიანები არიან და ცდილობენ, მიაღწიონ უფრო მაღალ პოზიციას, რადგან მათ სურთ დომინანტობა. რაც შეეხება ქალებს, მათ საუბარში ყოველთვის იგრძნობა მხარდაჭერა. კაცები ხედავენ სამყაროს, როგორც ადგილს, სადაც პიროვნება იბრძვის სტატუსის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ხოლო ქალები სამყაროს უყურებენ, როგორც ,,კავშირთა ქსელს, რომელიც ეძებს მხარდაჭერასა და თანხმობას“(Tannen 1984, გვ.3).

დამოუკიდებლობა და ინტიმურობა

ზოგადად, ქალები ყოველთვის ცდილობენ, იყვნენ თანამგრძნობი და მხარი დაუჭირონ სხვებს. კაცები კი, თავიანთ სტატუსში დარწმუნებულები, ისწრაფვიან დამოუკიდებლობისკენ. ეს მახასიათებლები ქალებსა და კაცებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ შეხედულებებს უყალიბებთ.

რჩევა და გაგება

დებორა ტანენი მიიჩნევს, რომ, უმეტეს შემთხვევებში, კაცისთვის სხვისი წუწუნი და ჩივილი არის გამოწვევა, რომ იპოვონ გამოსავალი. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მისი ოჯახის მაგალითი: ,,როცა დედაჩემი ეუბნება მამაჩემს, რომ თავს ცუდად გრძნობს, მამა ყოველთვის სთავაზობს ექიმთან წასვლას. დედა კი მამის რეაქციით იმედგაცრუებულია. როგორც ბევრ კაცს, მამაჩემს პირველად ახსენდება ის, თუ რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს მაშინ, როცა ცუდადაა, დედას კი ამ დროს მხოლოდ თანაგრძნობა სჭირდება“ (Tannen 1984, გვ.4).

ბრძანება და შეთავაზება

დამტკიცებულია, რომ, როდესაც ქალები რამის გაკეთებას სთხოვენ სხვებს, სთავაზობენ. მაგალითად: ,,მოდით, გავაკეთოთ,“ ,,განა კარგი არ იქნება, თუ ჩვენ?...“ კაცები კი პირდაპირი მითითებითა და მბრძანებლური ტონით გამოირჩევიან (Tannen 1984).

ამ თეორიის გათვალისწინებით, საინტერესოა, რამდენად ვლინდება ქართველი პოლიტიკოსი ქალების ნარატივებში მსგავსი პატერნები? ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში, მართლდება თუ არა ტანენის მოსაზრება, რომ ისინი, კაცებისგან განსხავებით, არ ისწრაფვიან სტატუსის მოსაპოვებლად?

1.3. სოციალური როლის თეორია

რადგან სოციალურ სტატუსს შევეხეთ, მნიშვნელოვანია, ვახსენოთ კიდევ ერთი საინტერესო თეორია, რომელიც ეკუთვნით ელის იგლს, ვენდი ვუდსა და ამანდა დიკმანს. ამ თეორიას სოციალური როლის თეორია ეწოდება, რომელიც განიხილავს განსხვავებებს ქალისა და კაცის ქცევებში. მათი ქცევის შესწავლისას ითვალისწინებენ როგორც სოციალურ ქცევას, ასევე პიროვნულ მახასიათებლებს (Eagly, 1987, 1997b). რადგან ჩემი მიზანია, ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივებზე დაყრდნობით, ავხსნა მათი ძალაუფლებრივი დისკურსი, ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს თეორია შესაძლებლობას მომცემს, გავარკვიო, როგორ ახდენენ ქართველი პოლიტიკოსი ქალები თვითპრეზენტაციას და რამდენად განსხვავდება მათი დისკურსი კაცების დისკურსისგან.

სოციალური როლის თეორიის მიხედვით, ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული ქცევა გამომდინარეობს მათ მიერ სოციალური როლების განსხვავებული განაწილებიდან. ინდივიდები, გარკვეული უნარებისა და რესურსების მოპოვებით, ირგებენ სქესისთვის დამახასიათებელ როლს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ მახასიათებლებსაც. მაგალითად, ის, რომ საზოგადოებაში კაცები ფიზიკურად უფრო ძლიერები და ღონიერები არიან, ვიდრე ქალები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსების მედიაში გამოსვლისას, მათი დისკურსი შედარებით „რბილია“ და მათი ენა ძალაუფლებას მოკლებულია. ეს კი ხდება საზოგადოების მოლოდინებიდან გამომდინარე. ანუ ქართველმა ქალმა პოლიტიკოსებმა იციან, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია გენდერული სტერეოტიპები იმის შესახებ, რომ ქალები, კაცებისგან განსხვავებით, ნაკლები ძალაუფლების მქონენი არიან, ამიტომ მათი

თვითპრეზენტაცია საზოგადოებრივი მოლოდინების შესაბამისია(Eagly, Wood & Diekman, 2000).

თვითპრეზენტაციაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ირვინგ გოფმანის დრამატურგიული მიდგომა, სადაც გოფმანი პერფორმანსზე საუბრისას ამბობს, რომ პერფორმანსის დროს ყოველთვის უნდა გაითვალისწინო, რას ელოდება შენგან აუდიტორია და შენი თავი დამსწრე საზოგადოების თვალით უნდა დაინახო. შესაძლოა, ინდივიდმა ვერ დადგას სასურველი პერფორმანსი აუდიტორიის წინაშე, მაგრამ მან უნდა მოირგოს აუდიტორიისთვის სასურველი როლი და აუცილებლად გააგრძელოს შთაბეჭდილების მოხდენა (Goffman, 1959). ამ თეორიულ ჩარჩოს თუ მივუსადაგებ ჩემს კვლევას, ცხადია, ქართველი ქალი პოლიტიკოსები ცდილობენ, მედიაში გამოსვლისას ანუ ,,წინა რეგიონში" ყოფნისას, მეტი სიფრთხილითა და ნაკლები კატეგორიულობით გამოხატონ თავიანთი ხედვები, რადგან ისინი ითვალისწინებენ საზოგადოების მოლოდინებს. მაშინ როცა ,,უკანა რეგიონში" ანუ ,,კულისებში" შესაძლოა მათ განსხვავებული დისკურსი ჰქონდეთ. მაგრამ ჩემი კვლევიდან გამომდინარე, მე ვერ დავადგენ, რა ნარატივები აქვთ ქართველ ქალ პოლიტიკოსებს ,,კულისებში." ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ მათ თვითპრეზენტაციაზე; ასევე იმაზე, თუ როგორ ახდენენ ქართველი ქალი პოლიტიკოსები აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდენას, რაზე ამახვილებენ ყურადღებას თავიანთ ოფიციალურ ნარატივებში.

რადგან ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივებს საზოგადოების მოლოდინებიდან გამომდინარე განვიხილავთ, აუცილებელია სოციალურ სტერეოტიპებზეც ვისაუბროთ.

1.4. სოციალური სტერეოტიპები

სოციალური სტერეოტიპები ადვილად შესამჩნევია და ხშირად არის საჯარო განხილვის საგანი. ლაკოფი განიხილავს რამდენიმე ამერიკულ სოციალურ სტერეოტიპს, მათ შორისაა: სტერეოტიპული პოლიტიკოსი, რომელიც ნიშნავს, რომ პოლიტიკოსი აუცილებლად უნდა იყოს ფარისეველი, ცბიერი, არაკეთილსინდისიერი. ლაკოფის მიხედვით, სოციალური სტერეოტიპები კულტურიდან მომდინარეობს და მათ ხშირად უწევს ექსპლუატაციას გასართობი, პოპულარული საშუალებები (Lakoff, 1987). ამ

თეორიიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გავრცელებული სოციალური სტერეოტიპები იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველი პოლიტიკოსი ქალები, განსხვავებით პოლიტიკოსი კაცებისგან, ძალაუფლებას მოკლებულები უნდა იყვნენ, გავლენას ახდენს პოლიტიკოსი ქალების დისკურსზე.

შნაიდერი და ბოსი საუბრობენ ქალ პოლიტიკოსებთან დაკავშირებით გავრცელებულ სტერეოტიპებზე და აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი არის ქალების ხასიათის თვისებისთვის დამახასიათებელი შტრიხები. ამ მიდგომას ავტორები უწოდებენ "trait approach"-ს. რადგან არსებობს საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ქალები, კაცებისგან განსხვავებით, მეტი თანაგრძნობით გამოირჩევიან, ამიტომ საზოგადოება იმავეს ელოდება პოლიტიკოსი ქალებისგანაც. ამასთანავე, შესაძლებელია საზოგადოებაში ქალი პოლიტიკოსები ნეგატიურად შეაფასონ, რადგან ქალური თვისებები არ არის მასკულინური და მიიჩნევა, რომ ქალებს არ ახასიათებთ ისეთი ლიდერული უნარ-ჩვევები, რაც კაცებს (Huddy & Terkildsen, 1993a).

სტერეოტიპებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ გენდერული სტერეოტიპებიც. ვფიქრობ, გენდერული სტერეოტიპებები აუცილებლად მოახდენს გავლენას ქალი პოლიტიკოსების ნარატივებზე. ფსიქოლოგიაში გენდერული სტერეოტიპები დაკავშირებულია მასკულინურ ან ფემინურ თვისებებთან, ესენია: ფიზიკური, გონებრივი, დადებითი და უარყოფითი სტერეოტიპები (Cejka & Eagly, 1999; Deaux & Lewis, 1984; Diekman & Eagly, 2000). ფიზიკურ სტერეოტიპებში იგულისხმება კაცებისთვის დამახასიათებელი ფიზიკური სიძლიერე. ხოლო ქალებისთვის - ფიზიკური სილამაზე და დახვეწილობა. გონებრივი სტერეოტიპები - მიიჩნევა, რომ ქალები არიან უფრო შემოქმედებითები, აქვთ კარგი წარმოსახვის უნარი და ინტუიცია, როცა კაცები მიაჩნიათ რაციონალურად და ანალიტიკურად მოაზროვნეებად. რაც შეეხება დადებით პიროვნულ თვისებებს, ქალებისთვის ესაა - მგრძნობიარე, ნაზი და თბილი ბუნება; კაცებისთვის კი - აქტიურობა, გაბედულობა და გამძლეობა. ქალებისთვის უარყოფითი მახასიათებელია ემოციური სისუსტე, მორჩილება, დაქვემდებარებულობა, ნაკლები გამბედაობა და დაბნეულობა; კაცებისთვის კი - სიხარბე, დიქტატორული ბუნება, ცინიკურობა, მედიდურობა, ტრაბახი და ეგოცენტრულობა.

საბოლოოდ ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკოსი ქალები წარმოადგენენ ზოგადად ქალების ქვეტიპს, ამიტომ მათ მიმართაც არსებობს სტერეოტიპები. გარდა ამისა, ქალი პოლიტიკოსები ფასდებიან არა მათი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, არამედ მათი სისუსტით. მიიჩნევენ, რომ ქალ პოლიტიკოსებს ლიდერობისა და კომპეტენციის ნაკლებობა აქვთ. გენდერის როლზე საუბრისას იკვეთება სტატუსისა და ძალაუფლების ფაქტორებიც. ორივე შემთხვევაში, უპირატესობა კაცებს ენიჭებათ (Schneider & Bos, 2013). ცხადია, რომ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული მოლოდინები იმის შესახებ, რომ თითოეულ სქესს უნდა ახასიათებდეს ისეთი თვისებები, რომლებიც მხოლოდ ამ კონკრეტული სქესისთვის იქნება საერთო. აქედან გამომდინარე, ქართველი ქალი პოლიტიკოსები გავრცელებულ სტერეოტიპებს ავტომატურად გაითვალისწინებენ და ცხადია, მათ ნარატივებში ეს გამოჩნდება.

1.5. მანიპულაცია - ძალაუფლების გამოხატვის სოციალური პრაქტიკა

ვან დიკის მიხედვით, ძალაუფლებაზე საუბრისას პირველი წყარო, რაც გვახსენდება, ესაა მასმედია, საჯარო დისკურსი და ნარატივები, რომლებიც მოდის ისეთი ,,სიმბოლური“ ელიტებიდან, როგორებიცაა პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები, მასწავლებლები და ა.შ. ცხადია, იმისთვის, რომ პიროვნებამ მოახდინოს სხვაზე მანიპულირება, მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს საჯარო დისკურსზე, პარლამენტის დებატებზე, ახალ ამბებზე, ტელეგადაცემებზე და სხვა. მაგალითად, პოლიტიკოსებს საჯარო გამოსვლების საშუალებით, შეუძლიათ გამოხატონ ან განამტკიცონ თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლება. ზუსტად იგივე შეგვიძლია ვთქვათ მედიასა და ჟურნალისტებზეც. მანიპულაციაზე საუბრისას, ვან დიკი აღნიშნავს, რომ ის არის ძალაუფლების გამოხატვის სოციალური პრაქტიკა, რომელსაც იყენებენ ისეთი დომინანტი ჯგუფები ან ინსტიტუტები, რომლებსაც აკონტროლებს პოლიტიკური, აკადემიური და ბიუროკრატიული ელიტები, ან მედია. მანიპულაცია არის სოციალური ფენომენი, რადგან ის მოიცავს ინტერაქციას და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ინდივიდებს, ჯგუფებსა და სოციალურ აქტორებს შორის. ამ

შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ არა პიროვნული ინტერაქციის ინდივიდუალურ დონეზე, არამედ სოციალურ ჯგუფებსა და ორგანიზაციებზე. ეს ძირითადად მოიცავს სიმბოლურ ელიტებს პოლიტიკაში, მედიაში, განათლებაში, ბიუროკრატიასა და ბიზნესში. ის ასევე არის კოგნიტური ფენომენი, რადგან მანიპულაცია ყოველთვის აღნიშნავს გონების მანიპულირებას და ასევე, ის არის სემიოტიკური ფენომენი, რადგან მანიპულაცია სწორედ ტექსტის, საუბრისა და ვიზუალური გზავნილების საშუალებით ხორციელდება.

ვან დიკთან სოციალურ-პოლიტიკური მანიპულაცია განხილულია, როგორც ძალაუფლების გამომხატველი და იდეოლოგიის მატარებელი. მანიპულაცია დისკურსის კრიტიკული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა, რომელიც მოითხოვს უფრო მეტ თეორიულ ანალიზს. ვან დიკი თავის სტატიაში მანიპულაციას სამ ძირითად ჭრილში განიხილავს: პირველია - სოციალური მანიპულაცია, რომელიც გულისხმობს სოციალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. უფრო ზუსტად, მანიპულატორები სხვებს აჯერებენ ან სხვებს აკეთებინებენ ისეთ რამეს, რაც მათ ინტერესშია. სოციალური მანიპულაცია განიმარტება, როგორც უკანონო დომინანტობა, რომელიც განამტკიცებს სოციალურ უთანასწორობას. მეორეა - კოგნიტური მანიპულაცია, როგორც გონების კონტროლი, რომელიც მოიცავს ისეთი მენტალური მოდელებისა და სოციალური რეპრეზენტაციების ფორმებს, როგორიცაა, ცოდნა და იდეოლოგია. მესამე კი, დისკურსული მანიპულაცია, მოიცავს იდეოლოგიური დისკურსის ფორმებს, როგორიცაა ხაზგასმა ,,ჩვენს კარგ შედეგზე“ და ,,მათ ცუდ შედეგზე.“

ვან დიკი განიხილავს მანიპულაციის ,,კომუნიკაციურ“ და ,,სიმბოლურ“ ფორმას, როგორიცაა პოლიტიკოსების ან მედიის მანიპულაცია, რაშიც გამოიხატება დისკურსული გავლენა. ვან დიკის მიხედვით, როდესაც ვსაუბრობთ დისკურსზე, როგორც მანიპულაციაზე, ყურადღება მეტად უნდა გავამახვილოთ მის კონტექსტზე, ვიდრე მის ტექსტურ სტრუქტურაზე. ავტორი საუბრობს არა მხოლოდ მეტყველებაზე, არამედ არავერბალურ მახასიათებლებზე, როგორიცაა ჟესტები, სახის მიმიკები, სურათები, ხმა, მუსიკა და ა.შ. (Van Dijk, 1996). ეს თეორიული ჩარჩო რომ მოვარგო ჩემს კვლევას, საინტერესოა, რა დისკურსული ხერხებით ახდენენ მანიპულირებას

ქართველი ქალი პოლიტიკოსები. იმის მიხედვით, თუ მანიპულაციის რომელ ფორმას იყენებენ ისინი, გავარკვევ, რა გზით ცდილობენ თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებას საზოგადოებაში და როგორ ვლინდება ეს მათ დისკურსში.

1.6. „როგორ ვაკეთოთ საქმე სიტყვებით“ – “How to Do Things with Words”

ჯეიმს ოსტინი თავის სტატიაში “How to Do Things with Words” საუბრობს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ სიტყვების გამოყენებით. ავტორი იყენებს ტერმინს „პერფორმატიული წინადადება,“ რომელსაც პერფორმატივსაც უწოდებს. სახელი მომდინარეობს სიტყვიდან ,,შესრულება“(Perform), რომელიც დაკავშირებულია მოქმედებასთან. მაგრამ ოსტინს აინტერესებს, გამოხატავს თუ არა სიტყვა მოქმედებას? ანუ როცა ადამიანი რამეზე საუბრობს, ეს პარალელურად ნიშნავს თუ არა იმას, რომ იგი იმავეს გაკეთებას აპირებს, რასაც ამბობს? ოსტინს მაგალითად მოჰყავს ქორწინებისას წყვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ,,თანახმა ვარ,“ რომელიც ინგლისურად შემდეგნაირად ჟღერს - “I do.” ინგლისურში “do“ - არის ზმნა, რომელიც ნიშნავს კეთებას. ოსტინის აზრით, ეს სიტყვაც კი პერფორმატიულია, რადგან ისე ჟღერს, თითქოს მოქმედება ცოცხლდება (Austin, 1962). ამ თეორიის დახმარებით, ქართველი ქალი პოლიტიკოსების საუბრიდან გავიგებ, რამდენად ხშირად იყენებენ ისინი პერფორმატიულ სიტყვებს და რა მნიშვნელობის მატარებელია მათი სიტყვები. სამწუხაროდ, ვერ დავადგენ, რამდენად შეესაბამება მათი სიტყვები მოქმედებას, თუმცა, გავარკვევ, რამდენად დამაჯერებელია ქალი პოლიტიკოსების საუბარი და დარწმუნების რა ხერხებს იყენებენ ისინი მედიაში გამოსვლისას.

რადგან ჩემი ნაშრომის მიზანია, ქართველი პოლიტიკოსი ქალების ნარატივებზე დაყრდნობით ვიკვლიო მათი ძალაუფლებრივი დისკურსი, ამიტომ უნდა ვისაუბრო მეტყველების სტილზე, რომელიც ყველა ინდივიდს განსხვავებული აქვს, თავისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე.

1.7. გრამში - „კულტურული ჰეგემონია“

სიტყვებს რომ დიდი მნიშვნელობა აქვთ და მათი საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ იმოქმედონ და ამასთანავე სხვებზე მოახდინონ ზეგავლენა, ამას განამტკიცებს ანტონიო გრამშის თეორია „კულტურული ჰეგემონიის“ შესახებ. ჯექსონ ლიარსი აანალიზებს გრამშის თეორიას, რაც გულისხმობს იმას, რომ მმართველ სოციალურ ჯგუფებს შეუძლიათ სოციალური ავტორიტეტი იქონიონ დაქვემდებარებულ კლასებზე, რაც გამოიხატება არა მარტო მათზე გამარჯვებით, არამედ იმითაც, რომ ისინი დაითანხმონ, დაექვემდებარონ ავტორიტეტს. სახელმწიფოს, პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებებად დაყოფის გზით, ორმაგი ამოცანა აქვს: შეინარჩუნოს დომინანტობა ან მიიღოს თანხმობა ამ დომინანტობაზე. იმ თანხმობას, რომელსაც მმართველი კლასი დაქვემდებარებული კლასებიდან იღებს, გრამში „კულტურულ ჰეგემონიას“ უწოდებს. მმართველი კლასი ინარჩუნებს ამ ჰეგემონიას სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით (Lears, 2016). „კულტურული ჰეგემონია“ იდეოლოგიური მნიშვნელობისაა, რადგან ამ დროს მმართველი ჯგუფი ცდილობს, დაქვემდებარებული კლასი დაიპყროს არა ძალის გამოყენებით, არამედ სიტყვის საშუალებით. „კულტურული ჰეგემონიის“ საუკეთესო მაგალითია პოლიტიკოსების გამოსვლები, როცა ისინი ცდილობენ, მათი მოსაზრება და იდეოლოგია თავს მოახვიონ საზოგადოებას. პოლიტიკოსებმა შეიძლება მიაწოდონ მათ ის იდეები და ინტერესები, რომლებსაც შეიძლება აუდიტორია არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ეს იმდენად მოხერხებულად გააკეთონ პოლიტიკოსებმა, რომ აუდიტორია ამას დაეთანხმება და ეგონება, რომ სხვებმა კი არ აიძულეს ამის გაკეთება, არამედ ამ გადაწყვეტილებამდე თავად მივიდა. ამას გარდა, შესაძლოა აუდიტორიას ეგონოს, რომ ის, რაც პოლიტიკებმა მას იდეოლოგიურად შთააგონეს, მისი ინტერესის სფეროა და მის დასაცავად იბრძოლოს კიდეც.

საინტერესოა, ამ თეორიის გამოყენებით გავარკვიოთ, რა იდეოლოგიური დატვირთვა აქვს ქალი პოლიტიკოსების ნარატივებს? იგრძნობა თუ არა მათ დისკურსში, რომ ისინი ცდილობენ, თავიანთი ინტერესებისა და იდეების გამოხატვით, ფართო აუდიტორიაზე მოახდინონ ზეგავლენა?

1.8. მეტყველების სტილი, როგორ განმასხვავებელი ნიშანი

ჯუდით ირვინი თავის სტატიაში საუბრობს სტილზე, როგორც განმასხვავებელ ნიშანზე. მეტყველების სტილზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ ის ინდივიდუალურია. მისი აზრით, მეტყველების სტილი უნდა იყოს სოციალურ გარემოზე მორგებული. ყველას განსხვავებული სტილი აქვს, მაგალითად, პოლიტიკოსებს მორგებული აქვთ აკადემიური მეტყველების სტილი, რომელიც მათ განასხვავებს სხვა პროფესიის ადამიანებისგან. ენობრივი სტილის საშუალებით, შეგვიძლია გავიგოთ, რა სტატუსის და პროფესიის მატარებელია ადამიანი. ასევე შეგვიძლია გავიგოთ მისი განათლების დონე, რა მიზანს ემსახურება მისი საუბარი, რა იდეოლოგიის მატარებელია მისი სიტყვები და ა.შ. ირვინი ენას განიხილავს, როგორც იდეოლოგიურ ნიშანს და მისი თქმით, როგორც გარეგნობითა და ჩაცმულობით შეგვიძლია გავიგოთ ადამიანის შესახებ ბევრი რამ, ასევეა ენობრივი სტილითაც. ის ინდიკატორია იმისა, რასაც ადამიანი ფიქრობს (Irvine, 2001). ჩემი აზრით, ეს თეორია დამეხმარება გავაანალიზო ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივები მათი ენობრივი სტილის მიხედვით და გავიაზრო, თუ რა იდეოლოგიის მატარებელია მათი სიტყვები, რა ტერმინოლოგიას იყენებენ ყველაზე ხშირად. რამდენად გამორჩეულია მათი სტილი და რაში გამოიხატება ეს გამორჩეულობა?

1.9. Footing

ირვინგ გოფმანი თავის სტატიაში „საუბრის ფორმები“ (“Forms of Talk“) საუბრობს Footing-ზე, რომელიც ნიშნავს იმის განმარტებას, რისი თქმაც ადამიანს უნდა. გოფმანის აზრით, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჯონ გუმპერცის თეორია, რომელიც საუბრის დროს ყურადღებას ამახვილებს როგორც ჟესტებზე და მოქმედებაზე, ასევე ლაპარაკის ტონზეც. იგი ამ ყველაფერს აკავშირებს ძალაუფლების დემონსტრირებასთანაც (Goffman, 1981). Footing იგივეა, რაც ხაზებს შორის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკითხვა. როდესაც ერთნაირი პროფესიის მქონე ადამიანები ერთმანეთთან საუბრობენ, ისინი იყენებენ მათთვის დამახასიათებელ ლექსიკურ და გრამატიკულ მახასიათებლებს. ამიტომ სხვა პროფესიის ადამიანს ძალიან გაუჭირდება Footing-ის გარეშე გაიგოს, რაზე საუბრობენ ისინი. მაგალითად, პაციენტს

გაუჭირდება ექიმების საუბარში ყველაფერი დეტალურად გაიგოს, თუ ამ პაციენტს არ აქვს სამედიცინო განათლება. გოფმანის თქმით, Footing-ში მოსაუბრე და მსმენელი არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, პირიქით, ორივე მათგანი განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამს და შესაბამისად, მათ გასაანალიზებლადაც განსხვავებული სტრუქტურა გამოიყენება. Footing-ში ცვლილება ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ენასთან. ენაში სტილი აღნიშნავს არა მხოლოდ განმასხვავებულ, არამედ მიმამსგავსებელ ნიშანსაც. საუბარში არსებული განსხვავებული ლინგვისტური ერთეულები აკავშირებს ერთმანეთთან სოციალურ იდენტობასა და ვერბალურ პროცესს (Goffman, 1981). ცხადია, Footing-ის საშუალებით გავიგებთ, პოლიტიკოსი ქალების ჟესტიკულაცია და მოქმედება რამდენად შეესაბამება მათ ძალაუფლებრივ დისკურსს, აგრეთვე დავადგენთ, რა იკითხება მათი ნარატივების ზედაპირს მიღმა. Footing-ის ცოდნა აუცილებელია, რადგან ყველა სფეროს აქვს თავისი კონკრეტული Footing, რომლითაც განიმარტება ეს დისკურსი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვსაუბრობთ პოლიტიკაზე, აუცილებლად გვჭირდება Footing-ის ცოდნა, რათა სწორად გავაანალიზოთ ინფორმაცია. როცა Footing ჩვენთვის გასაგები და ნათელია, შესაბამისად, ის ტერმინები, რომლებსაც ვისმენთ, არ საჭიროებს ზედმეტ განმარტებას. ჩემი კვლევის ემპირიული მონაცემების საშუალებით დავადგენ, მედიაში გამოსვლისას იყენებენ თუ არა ქალი პოლიტიკოსები ისეთ ტერმინებს/ცნებებს, რომლებიც მათი სოციალური პოზიციდან გამომდინარე სპეციფიკურია და საზოგადოებისთვის გაუგებარი? თუ იყენებენ, რა შემთხვევაში და რა მიზნით? ან იქნებ ისინი თავიანთ სათქმელს იმდენად ცხადად და მარტივად გადმოსცემენ, რომ მათ საუბარში არ არის საჭირო Footing-ის გამოყენება.

2. ემპირიული ნაწილი

გადაცემების ყურებისას გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩემი კვლევისთვის საინტერესო მასალას წარმოადგენდა. ემპირიულმა მონაცემებმა საშუალება მომცა, ქართველი პოლიტიკოსი ქალების ძალაუფლებრივი დისკურსის სპეციფიკა გამომევლინა. საუბრის დასაწყისში მნიშვნელოვანია, თუ როგორ წარსდგება პოლიტიკოსი საზოგადოების წინაშე, რამდენად თავაზიანია ის და ა.შ. ასევე, ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, თუ როგორ ახდენენ ქართველი პოლიტიკოსი ქალები თვითპრეზენტაციას და ვისაუბრებ ,,ქალის ენაზე" პოლიტიკურ ტოქშოუებში. საინტერესოა ლაკოფის თეორიული ჩარჩოს მორგება ჩემს ემპირიულ მონაცემებზე და ქართველი ქალი პოლიტიკოსების ნარატივებში გამოვლენილი დისკურსული მახასიათებლების შესწავლა. კვლევის შედეგად გამოვყავი ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებსაც ქალი პოლიტიკოსები თავიანთ ნარატივებში ავლენდნენ და ისინი დავყავი კატეგორიებად, შემდეგ დავალაგე ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით:

პოლიტიკურ ტოქშოუებში, ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოვლენილი ძირითადი მახასიათებელებია:

1.1. თავაზიანი საუბარი და აუდიტორიის ემოციების გაძლიერება

მედიაში გამოსვლისას პოლიტიკოსები ირგებენ ოფიციალურ დისკურსს, ცდილობენ საზოგადოების წინაშე თავაზიანი და ყურადღებიანები გამოჩნდნენ, რათა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ აუდიტორიაზე. გადაცემების ყურებისას გამოჩნდა, რამდენად ცდილობენ ქართველი ქალი პოლიტიკოსები თავაზიანობის გამოხატვით სასურველი იმიჯის შექმნას. რა ხერხებით ცდილობენ ისინი აუდიტორიის ემოციების გაძლიერებას. ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ის ქალი პოლიტიკოსები, რომლებსაც ხშირად იწვევენ პოლიტიკურ ტოქშოუებში და ამასთანავე, ისინი თავიანთი პოლიტიკური პარტიის ლიდერებად გვევლინებიან. თავდაპირველად განვიხილავ მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლებს. კოალიცია ,,ქართული ოცნების" წევრებს თეა წულუკიანს, ეკა ბესელიასა და ასევე ამ კოალიციის ყოფილ წევრს, ანი მიროტაძეს. ყველა მათგანი თავაზიანია როგორც ჟურნალისტების, ასევე მოწვეული

სტუმრების მიმართ. სამივე პოლიტიკოსი ქალი ცდილობს, დადგას ისეთი პერფორმანსი, რომ ყველას მიმართ უშუალო დამოკიდებულება გამოხატოს და ამით სიმპათია დაიმსახუროს. მაგალითად, 2018 წლის 30 იანვრის გადაცემაში, სადაც მთავარი თემა ,,მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულია," თეა წულუკიანი თანადგომას გამოხატავს როგორც მოზარდების, ასევე მათი მშობლების მიმართ. „ბავშვები დიდ გასაჭირში იმყოფებიან, რადგან ისინი მშივრები არიან და ამის გამო იპარავენ საკვებს. არანაკლებად უჭირთ მშობლებს, რადგან ისინი განიცდიან იმას, რომ შვილებისთვის საჭმელი არ აქვთ" - ამბობს ის. წულუკიანი შემთხვევით არ იყენებს ისეთ ექსპრესიულ სიტყვებს, რომლებიც აუდიტორიის ემოციების გაძლიერებას იწვევს. იგივეს თქმა შეიძლება ეკა ბესელიაზეც, 2018 წლის 29 მაისის გადაცემაში ,,არჩევანი," სადაც საუბრობენ ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე, ბესელია სამძიმარს უცხადებს მოკლული მოზარდების ოჯახებს და მიმართავს ზაზა სარალიძეს. პირადად მას უცხადებს თანადგომას და ამბობს, რომ იცის, რა განცდაა უსამართლობა. ,,ეს არის გულწრფელი ხელის გაწოდება თქვენთვის. ჩვენ არ ვდგავართ სხვადასხვა მხარეს. ეს არ არის ლოკალური შემთხვევა და ერთი ოჯახის ტკივილი. ჩვენი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესში არ არის, ხელი დააფაროს ვინმეს. მე დედა ვარ და მესმის ეს ტკივილი და ტრაგედია" - ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ბესელიამ ისეთ ემოციურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, როგორიცაა ოჯახი და მშობლად ყოფნა. ცდილობს, ისეთი დისკურსი შექმნას, რომ სარალიძის და საზოგადოების თვალში წარდგეს, როგორც ადამიანი, რომელსაც მოზარდების მკვლელობის პრობლემა გულთან ახლოს მიაქვს და თანაგრძნობით ეკიდება ამ საკითხს. ასევე ერთ-ერთ გადაცემაში ის საუბრობს არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობაზე: ,,რთულია შესაბამისი სიტყვა და ფრაზა მოძებნო და ოჯახი ანუგეშო. ამ გაუსაძლისი ტკივილისა და ტრაგედიის თანამონაწილენი ვართ ყველა ჩვენგანი და ვაკეთებთ ყველაფერს, ვიყენებთ ყველა ოფიციალურ და არაოფიციალურ მექანიზმს იმისთვის, რომ ოჯახმა დაიტიროს თავისი შვილი." მისი მხრიდან, ყურადღების გამახვილება ,,ოფიციალურ და არაოფიციალურ მექანიზმებზე," რასაკვირველია გამოხატავს მისი, როგორც პოლიტიკოსის სოციალურ სტატუსს და ძალაუფლებრივ დისკურსს.

ტანენის თეორიას თუ გავიხსენებთ, ქალი პოლიტიკოსების დისკურსში ყოველთვის ვლინდება მხარდაჭერა, ყოველ შემთხვევაში, მათ დისკურსში ჩანს, რომ პასუხისმგებლობით ეკიდებიან საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს. გარდა ამისა, ზემოხსენებული ემპირიული მონაცემები ეხმიანება შნაიდერისა და ბოსის თეორიას, ქალების ხასიათის თვისებისთვის დამახასიათებელი შტრიხების შესახებ. ანუ "trait approach," რომლის მიხედვით, ქალები კაცებზე მეტი თანაგრძნობით გამოირჩევიან, ამიტომ საზოგადოება იგივეს ელოდება პოლიტიკოსი ქალებისგანაც. ამას კი ქართველი ქალი პოლიტიკოსები თავიანთ დისკურსში ითვალისწინებენ და საზოგადოებისთვის სასურველ პერფორმანსს დგამენ.

თავაზიანობის გამოხატვასა და აუდიტორიის ემოციების გაძლიერებას ცდილობენ ,,ევროპული საქართველოსა" და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები. ასევე, თავაზიანობით გამოირჩევა ,,დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე. ,,ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი, ელენე ხოშტარია ყოველთვის თავაზიანია. საუბრისას ხშირად იყენებს მოსმენით რეპლიკას, მაგალითად, ,,გისმენთ." როცა წამყვანი კითხვას უსვამს, ის პარალელურად, ხშირად იმეორებს სიტყვას ,,დიახ" და თავს აქნევს. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი თინათინ ბოკუჩავა, იმ გადაცემებში, რომელსაც მე ვაანალიზებდი, არ ესალმება არც წამყვანს, არც მაყურებელს და არც სტუდიაში მყოფ ადამიანებს. შესაძლოა, იმის ჩვენებით, რომ ბოკუჩავას საერთოდ არ აინტერესებს საზოგადოების აზრი და ამიტომ მიზანმიმართულად „ვერ ამჩნევს" დამსწრე საზოგადოებას, ის ცდილობდეს მისი დომინანტური პოზიციის გამოხატვას.

ქვეყანაში არსებული პრობლემების მიმართ საკმაოდ ემოციურია ირმა ინაშვილიც. ,,მე სოფელ-სოფელ დავდივარ, მარტო თბილისში არ ვმოძრაობ და ვხედავ უამრავ პრობლემას" - ინაშვილის მხრიდან ხაზგასმა არსებულ პრობლემებზე მიუთითებს, რომ ის ცდილობს, სასურველობის ეფექტი შექმნას და საზოგადოებას მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოუცხადოს.

ლაკოფს თუ დავესესხებით, ენა ერთდროულად აზრების როგორც გამოვლენაში, ასევე დაფარვაში გვეხმარება. ქართველი ქალი პოლიტიკოსების დისკურსის ანალიზმა ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ზოგიერთი მათგანი დრამატურგიულ ხერხს იყენებს და

დგამს სასურველ პერფორმანსს, რომ საზოგადოება მის მიმართ სიმპათიით განეწყოს. მაგალითად, ის რომ ეკა ბესელია ზოგიერთ წამყვანს შენობით მიმართავს, ზოგს კი - თქვენობით, შესაძლოა მისი პირადი ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს და რადგან ის რამდენიმე ჟურნალისტს დიდი ხანია იცნობს, ამიტომ მიმართავს შენობით. ინგა გრიგოლიასთან სტუმრობისას, ბესელია მას მიმართავს: ,,შენთან სტუმრობა ყოველთვის სასიამოვნოა. მიყვარს შენთან ეთერში ყოფნა და ყოველთვის მიხარია შენს გადაცემაში მონაწილეობის მიღება. მართალია, რთული კითხვები გაქვს, მაგრამ ძალიან საინტერესოა შენთან საუბარი“ - ეკა ბესელიას ამგვარი დამოკიდებულება წამყვანის მიმართ, ჩემი აზრით, კავშირშია გოფმანის ლინგვისტურ თეორიასთან, რომელსაც ლინგვისტები უწოდებენ “Code Switching“ ანუ ,,კოდის გადართვა“(Goffman, 1981). ეს არის პროცესი, როცა მოსაუბრე ენაში საუბრის განსხვავებულ ვარიანტებს იყენებს. ბესელიას შემთხვევაში, მას ოფიციალური დისკურსი გადაჰყავს ყოველდღიურ დისკურსში, რათა მეტად მეგობრული და ნაკლებ ფორმალური გარემო შექმნას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადაცემის მსვლელობისას ის წამყვანებს ხშირად მიმართავს სახელებით, რითაც მათ მიმართ უშუალო დამოკიდებულებას გამოხატავს.

თუმცა, ხშირად იყო შემთხვევა, როცა პოლიტიკოსი ქალები, როგორც გოფმანი აღნიშნავს, დადგმული „პერფორმანსის ჩარჩოებიდან ამოვარდნენ” და ვერ აკონტროლებდნენ მათ ემოციებს. ეს თვალსაჩინოა ადა მარშანიასა და ირმა ინაშვილის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი თავდაპირველად ყველას მიმართავს თქვენობით, მაგრამ შემდეგ გადადიან შენობითზე. ეს უნდა დავუკავშიროთ გოფმანის თეორიას, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ინდივიდმა ვერ დადგას სასურველი პერფორმანსი აუდიტორიის წინაშე, მან უნდა გააგრძელოს ,,შესრულება“ და მოირგოს აუდიტორიისთვის სასურველი როლი (Goffman, 1959). თუმცა, როგორც ჩანს, ამას ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ქალი ვერ ახერხებს. მარშანია და ინაშვილი თავდაპირველად ცდილობენ საზოგადოების თვალში თავაზიანი გამოჩნდნენ, მაგრამ როცა დისკურიას იწყებენ, უჭირთ ემოციების გაკონტროლება და შესაბამისად, სასურველი პერფორმანსს ვერ დგამენ. უნდა აღვნიშნოთ ინგა გრიგოლიას ერთ-ერთ გადაცემა, სადაც ადა მარშანია წამყვანს ეუბნება: ,,საპროვოკაციოდ შემომიყვანეთ აქ? სპეციალურად მომიწვიეთ აქ და დაუძახეთ ამ

ქალბატონს? (მიუთითებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ხატია დეკანოიძეზე) შენ ახლა სანახაობას აწყობ, ინგა. მომბეზრდა, რაც ხდება ტელევიზიებში.“ რაზეც გრიგოლია ეუბნება, ნუ უყვირის მას, ის კი იგივე ტონალობაში პასუხობს: ,,ეს ემოციური საუბარია და არა ყვირილი. ისე, თქვენ ყვირილსაც იმსახურებთ.“ როგორც ჩანს, თავდაპირველად მარშანიამ საკუთარ ემოციებზე კონტროლი დაკარგა, თუ გოფმანის ტერმინს გამოვიყენებთ, მისი საუბარი ,,ჩარჩოდან ამოვარდა“ (“out of frame activity”). თუმცა შემდეგ, მარშანია ცდილობს, ისევ ,,როლში შევიდეს“ და დააბრუნოს მისი „ჩარჩოდან ამოვარდნილი" ნარატივი, როცა თავის ხმამაღალ საუბარს ემოციურ აღელვებას მიაწერს და ამ აღელვების მიზეზად ჟურნალისტის მიერ „სანახაობის მოწყობას” მიიჩნევს.

გამოყენებული თეორიებისა და ემპირიული მონაცემების მორგებით, ამ ქვეთავიდან გამოვლინდა, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსები, თავიანთი დისკურსით, ცდილობენ თავაზიანები გამოჩნდნენ აუდიტორიის წინაშე და საზოგადოების თვალში სიმპათია დაისახურონ.

1.2. თვითპრეზენტაცია და ძალაუფლების დემონსტრირება

მისალმების შემდეგ, პოლიტიკოსები იწყებენ თვითპრეზენტაციასა და თავიანთ სტატუსზე და ძალაუფლებაზე ყურადღების გამახვილებას. ზოგიერთი მათგანი მათ გამოსვლებში თავიანთ მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად გამოხატავს, ზოგი მათგანი კი სიფრთხილეს იჩენს მტკიცე პოზიციის დაფიქსირებისას. მაგალითად, თეა წულუკიანი, ყოველთვის ყურადღებით უსმენს წამყვანებს, ამიტომ მათ არ სჭირდებათ კითხვის გამეორება, რადგან წულუკიანი მათ დასმულ შეკითხვებს ყოველთვის სრულყოფილად პასუხობს. ასევე ეხმაურება ყველა სტუმრის მოსაზრებას და თუ მათ არ ეთანხმება, მაშინ საკუთარ მოსაზრებას ცხადად აფიქსირებს. როგორც ჩანს, წულუკიანი გადაცემაში მისვლამდე სხვადასხვა საკითხზე სასაუბროდ ემზადება, რადგან ზუსტი სტატისტიკური მონაცემები მოჰყავს წლებისა და თვეების მიხედვით და ამაზე ყოველგვარი ყოყმანისა და დაფიქრების გარეშე საუბრობს. მაშინ როცა, მაგალითად, ეკა ბესელია ერიდება ზუსტი რიცხვების დაკონკრეტებას და ამბობს: ,,ზუსტი ციფრი არ მახსოვს, არ მინდა, რომ შემეშალოს, ამიტომ არ დავასახელებ.“ წულუკიანი, ვინც არ

უნდა შეაწყვეტინოს, თავის სათქმელს ყოველთვის ბოლომდე ასრულებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის სხვა საკითხზე. ამით ის ცდილობს, მისი სოციალური სტატუსის დემონსტრირებას. ის ფაქტი, რომ წულუკიანს ვერავინ ვერ აწყვეტინებს საუბარს, მის ძალაუფლებრივ პოზიციაზე მიუთითებს.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქართველი ქალი პოლიტიკოსი საუბრისას სიფრთხილეს იჩენს, ეს გამოიხატა ქართული ოცნების ყოფილი წევრის ანი მიროტაძის ნარატივში, რომელიც მის ნარატივებში ხშირად იყენებს შემდეგ ფრაზებს: ,,რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, მალე ვიხილავთ...;“ ,,ჩემი ინფორმაციით, მომავალში შესაძლოა...“ - ამ სიტყვებით, ერთი მხრივ, ის ფრთხილად ეკიდება პირდაპირი განაცხადის გაკეთებას და, მეორე მხრივ, მიუთითებს, თითქოს ისეთ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი, რომელიც ყველასთვის არაა ცნობილი.

გადაცემების ყურებისას ყურადღებას ვამახვილებდი არა მხოლოდ ქალი პოლიტიკოსების, არამედ კაცი პოლიტიკოსების ნარატივებზეც, რათა გამერკვია, მართლდება თუ არა ლაკოფის თეორია, რომ ქალების საუბარი, კაცების საუბრისგან განსხვავებით, ძალაუფლებას მოკლებულია. ჩემი სამიზნე ჯგუფის ფარგლებში, ვერცერთ პოლიტიკოსს ქალზე ვერ ვიტყვით, რომ მათ დისკურსში სუბორდინირებული პოზიცია იკვეთება. პირიქით, ყველა მათგანი ცდილობს ძალაუფლების დემონსტრირებას და მათი სოციალური სტატუსის ხაზგასმას, რაც, რასაკვირველია, პირდაპირ კავშირშია გოფმანის ,,თვითპრეზენტაციასთან.“ გადაცემაში ,,აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად,“ იუსტიციის მინისტრთან ერთად მიწვეული იყო სამი კაცი. კაცებით დომინირებულ გარემოში, წულუკიანის დისკურსში არ ჩანს, რომ ის საკუთარ თავს სუბორდინირებულად აღიქვამს, რადგან ის ყოველთვის ცდილობს მისი პოზიციის და ძალაუფლებრივი სტატუსის ხაზგასმას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კაცმა სცადა მისთვის საუბარი შეეწყვეტინებინა, წულუკიანი არ გაჩერებულა და ბოლომდე დაამთავრა მისი საუბარი. იგივე შეიძლება ვთქვათ ეკა ბესელიაზეც, ისიც ხშირად ცდილობს მისი ძალაუფლების დემონსტრირებას. ბევრ გადაცემაში საუბრობს გამოცდილებაზე და ამით ცდილობს მის კომპეტენტურობაზე ხაზგასმას. მაგალითად: ,,ვიყავი ყოველთვის ადამიანის უფლებების დამცველი და ადვოკატი, ასევე ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე;“ ,,ექვსი წელია რაც ხელისუფლებაში

ვარ.“ 2018 წლის 29 მაისს, გადაცემაში ,,არჩევანი“ ეკა ბესელია საუბრობს ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე. ,,მე გამოცდილება მაქვს ჩემი პროფესიული საქმიანობიდან და ბევრი მკვლელობის საქმეში მიმიღია მონაწილეობა, როგორც დამცველს.“ ამ გადაცემაში მან ძალიან ბევრჯერ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ კომპეტენტურია და გამოცდილება აქვს მსგავსი საკითხების გამოძიებაში. ,,ბევრი საქმე მქონია პრაქტიკაში, სადაც მკვლელობის ურთულეს შემთხვევებს ვსწავლობდით და განვიხილავდით.“ ასევე მოჰყავს მისი გამოძიებული საქმის მაგალითებიც.

თეა წულუკიანი მის ყველა გამოსვლაში, ძალიან მშვიდი და გაწონასწორებულია, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ეკა ბესელიაზე. რასაკვირველია, თეა წულუკიანმა იცის, რომ სოციალურად სასურველი თვითპრეზენტაციისთვის ემოციურობა არ გამოადგება, ამიტომ სათანადოდ ცდილობს მისი ემოციების კონტროლსა და მშვიდი პოლიტიკოსის იმიჯის შექმნას. გადაცემაში ,,რეაქცია“, სადაც განიხილავენ თბილისის მერის არჩევნებს, ეკა ბესელია მერობის კანდიდატ ალეკო ელისაშვილზე ამბობს: ,,ცრუპენტელა, უღირსი, ყალბი, ფარისეველი, ქალთმოძულე, მხდალი და უზნეო ადამიანია. თბილისს ასეთი მერი არ ეკადრება.“ ამ სიტყვებით, ეკა ბესელია შეურაცხყოფას აყენებს ალეკო ელისაშვილს. მაშინ, როცა ქალაქის მერისგან ურბანული მენეჯმენტია მოსალოდნელი და სწორედ მის მმართველობით და პროფესიულ უნარებზე უნდა იყოს საუბარი, ბესელია ხაზს უსვამს ელისაშვილის უარყოფით პიროვნულ თვისებებს და ამით მის დისკრედიტაციას ცდილობს. დისკრედიტაციაზე და შეურაცხყოფაზე საუბრისას უნდა აღვნიშნო ირმა ინაშვილი და ადა მარშანია, რომლებიც საკმაოდ აგრესიულები არიან სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომდგენლების მიმართ. მაგალითად, ინაშვილი ელენე ხოშტარიას მიმართავს: ,,ფაშისტი ხართ თქვენ და ფაშისტია თქვენი ლიდერი გიგა ბოკერია. ჰიტლერს მოენატრებოდა ისეთი ფაშისტები, თქვენ რომ გყავთ პარტიაში.“ ასევე, გადაცემაში ,,პირისპირ“ მიმართავს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს სალომე სამადაშვილს: ,,რუსეთის აგენტები მოიკითხეთ თქვენს პარტიაში. თქვენ იყავით მოღალატე ხელისუფლება, ამ ქვეყნის მტერი ხელისუფლება. ხალხს ბურუსში აცხოვრებდით. თქვენ აჩუქეთ რუსეთს ჩვენი მიწების 22 პროცენტი. თქვენი სახით, მე კლინიკურ შემთხვევასთან მაქვს საქმე.“ ამ სიტყვებით ინაშვილი ცდილობს ოპონენტის

შეურაცხყოფას. თუ ინაშვილის ნარატივს დავაკავშირებთ დისკურსულ მანიპულაციასთან, რომელიც მოიცავს იდეოლოგიური დისკურსის ფორმებს, როგორიცაა ხაზგასმა ,,სხვის ცუდ შედეგზე," აშკარაა, ინაშვილი მისი ოპონენტის შედომებზე ამახვილებს ყურადღებას. ადა მარშანია როდესაც ხატია დეკანოიძეს ესაუბრება, არ ახსოვს მისი სახელი და წამყვანს ეკითხება, რა ჰქვია ამ ქალბატონსო. ამით იმის ხაზგასმა უნდა, თითქოს, მის ოპონენტს არაფრად აგდებს და არც კი აინტერესებს, ვინ არის და რას წარმოადგენს.

ეკა ბესელია თავის ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს იმით, რომ ის არ ერიდება პრეზიდენტის გაკრიტიკებას და ამბობს, რომ „დღეს პრეზიდენტის შეფასებები ზედაპირული და არაობიექტური იყო. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი, რომელიც გარანტია კონსტიტუციური პრინციპების დაცვისა და კანონის წინაშე თანასწორობის, დღეს თავად იყო მაგალითი იმისა, როგორ დავარღვიოთ კანონი. პრეზიდენტი არ უნდა იყოს მხარე, ის უნდა იყოს მედიატორი, დამბალანსებელი ინსტიტუტებს შორის." აქ ჩანს, რომ ბესელია მის მოსაზრებებს მტკიცედ აფიქსირებს და თავისი გუნდის წევრის კრიტიკასაც არ ერიდება. ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გამოხატავს მის ძალაუფლებრივ პოზიციას, რომ მას შეუძლია საქართველოს პრეზიდენტიც კი გააკრიტიკოს იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ ის პრეზიდენტისთან შედარებით უფრო დაბალ პოზიციაზე იმყოფება. ეს უნდა დავაკავშიროთ მანიპულაციის თეორიასთან, სადაც მანიპულაცია განმარტებულია ძალაუფლების, როგორც სოციალური პრაქტიკის გამოყენებასთან. პრეზიდენტის გაკრიტიკებით ბესელია იყენებს კოგნიტურ მანიპულაციას, როგორც გონების კონტროლს. ის პრეზიდენტის მოსაზრებებს უარყოფითად აფასებს და ასევე კონსტიტუციური პრინციპების დარღვევაში ადანაშაულებს. ამით მის ძალაუფლებრივ პოზიციას განამტკიცებს, ისე თითქოს მას უკეთესი ცოდნა აქვს კონსტიტუციის, კანონის და ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის შესახებ, ვიდრე პრეზიდენტს.

განსხვავებით თეა წულუკიანისგან, რომელსაც სათქმელი ყოველთვის ბოლომდე მიჰყავს, ვინც არ უნდა შეაწყვეტინოს, ეკა ბესელია ხანდახან ჩერდება, როცა ჟურნალისტი ან სტუმარი აწყვეტინებს საუბარს და მათ უსმენს. ის აძლევს საშუალებას სხვებს, რომ შეაწყვეტინონ და მის საუბარში ჩაერიონ. თუ გავითვალისწინებთ იმ

კვლევებს, რომ კაცები უფრო ხშირად აწყვეტინებენ ქალებს, ეს არ ვლინდება ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში, მითუმეტეს თეა წულუკიანის მაგალითზე. ეკა ბესელიაც მხოლოდ ქალ წამყვანებს და იშვიათად სტუმრებს აძლევს უფლებას, მის საუბარში ჩაერიონ, კაცებს კი არ აცლის საუბარს და ბოლომდე ასრულებს მის სათქმელს. ამით გამოხატავს მისი, როგორც ქალის დომინანტურ პოზიციას. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ირმა ინაშვილზეც. კაცი პოლიტიკოსებით დომინირებულ გარემოში ყოფნისას ის თვითონ აწყვეტინებს კაც პოლიტიკოსებს საუბარს და თუ მას აწყვეტინებენ ოპონენტი კაცები, მათ არ უსმენს და თავის სათქმელს აგრძელებს. საუბრობს ძალიან ხმამაღლა, თითქოს, თუ ხმამაღლა ილაპარაკებს, მოუსმენენ და ამით მის უპირატესობას ავლენს. მთელი მისი დისკურსი მხოლოდ ბრალდებებს მოიცავს ხელისუფლების მისამართით. ,,ხელისუფლებას ხალხი და ყველაფერი ფეხებზე კიდია“ - ინაშვილი მსგავსი სიტყვებით ცდილობს, ხელისუფლებაში მყოფი ოპონენტების დამცირებას. ინაშვილის საუბრიდან არ ჩანს, რომ კაცებით დომინირებულ გარემოში თავს სუბორდინირებულად გრძნობს. პირიქით, მათ შეურაცხყოფას აყენებს და აკნინებს, მაგალითად: ,,სად ეტენებით, ვის უძვრებით?“ - ასე მიმართავს ოპონენტებს. მაღალ ტონალობაში ლაპარაკობს. ფაქტობრივად, მისი მთელი საუბარი ყვირილია და არა ლაპარაკი. როცა მისი დრო ამოიწურება, ის მაინც არ ჩერდება და ერთსა და იმავეს იმეორებს. ინაშვილი კრიტიკას არამხოლოდ ხელისუფლების, არამედ ტელევიზიისა და ჟურნალისტების მიმართაც გამოხატავს. მაგალითად, ჟურნალისტი ირაკლი ჩიხლაძე ინაშვილს აფრთხილებს, რომ არ მისცემს საშუალებას საუბარი გააგრძელოს, თუ მის კითხვაზე არ უპასუხებს, რაზეც ირმა ინაშვილი აგრესიულად ეუბნება: ,,არ მომცემ და ნუ მომცემ, აი დარდი, შენთან კი არ ვარ მოსული. დიდი პატივია, საერთოდ რომ გესაუბრები, როგორც წამყვანს. თქვენი ტელევიზია მე მიმაჩნია ერთ-ერთ მიკერძოებულ მხარედ, რომელიც იყენებს არასწორ და ბინძურ მეთოდებს ოპონენტების გასანადგურებლად.“ - ამ შემთხვევაში ირმა ინაშვილი წამყვანის მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებას ღიად გამოხატავს. ასევე, ტელევიზიას და მის წარმომადგენლებს არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებს. საუბარს ვერ აწყვეტინებენ ოპონენტები ადა მარშანიასაც. ერთ-ერთ გადაცემაში მოწვეული სამი კაციდან, მას ყველა მათგანი აცდის საუბარს. ის კი ყოველთვის ერევა სხვის საუბარში, თუ არ მოსწონს მათი მოსაზრება და გადადის

ხმამაღალ საუბარზე. თუ თვითონ საუბარი არ აქვს დასრულებული და აწყვეტინებს წამყვანი ან ოპონენტი, მარშანია ხმას უწევს და აგრძელებს ლაპარაკს. იგი მიმართავს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს, ბექა ნაცვლიშვილს: ,,ბექა, ეს თქვენი მხრიდან ყალბი, დემაგოგიური განცხადებაა" მასთან საუბარში იყენებს რუსულ გამოთქმას, ,,не надо юлить" - ანუ ,,ნუ ცანცარებთ". ინაშვილისა და მარშანიას ამგვარ ნარატივს კარგად ხსნის ვან დიკის მანიპულაციის ,,კომუნიკაციური" და ,,სიმბოლური" ფორმები. როდესაც ვსაუბრობთ დისკურსზე, როგორც მანიპულაციაზე, პირველ რიგში, ყურადღება მეტად უნდა გავამახვილოთ არავერბალურ მახასიათებლებზე, როგორიცაა ჟესტები, სახის მიმიკები, ხმა და ა.შ. ირმა ინაშვილი და მისი გუნდის წევრი ადა მარშანია იყენებენ ჟესტებს, (მაგალითად მარშანიას მხრიდან მაგიდაზე ხელის დარტყმა, ან საჩვენებელი თითის ქნევა) ასევე საუბრობენ ხმამაღლა, ამით ისინი ახდენენ სხვადასხვა დისკურსული და ინტერაქტიული ტექნიკის კომბინირებას, რათა გამოხატონ ძალაუფლებრივი დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ.

,,ევროპული საქართველოს" გუნდის წევრი ელენე ხოშტარია შემდეგნაირად ცდილობს მისი ძალაუფლებისა და კომპეტენციის დემონსტრირებას. მას ხშირად მოჰყავს მაგალითები კონსტიტუციიდან, რითაც ადასტურებს, რომ ამის კომპეტენცია და ცოდნა აქვს. ასევე, მოჰყავს მაგალითები და არგუმენტები საერთაშორისო გამოცდილებიდან და საქართველოში მის დანერგვაზე საუბრობს. ერთ-ერთ წინასაარჩევნო გადაცემაში ხოშტარია ამბობს შემდეგ ფრაზას: „ვცდილობ, პოლიტიკოსებს შევხედო ამომრჩევლის თვალით." ამით გამოხატავს, რომ ის შედის ამომრჩევლის მდგომარეობაში და ცდილობს აჩვენოს, რომ ისიც რიგითი მოქალაქეების გვერდით დგას და მათი კრიტერიუმებით აფასებს პოლიტიკოსებს. იმავეს თქმა შეიძლება თეა წულუკიანზეც, რომელიც საუბარში ხშირად იყენებს ნაცვალსახელს ,,ჩვენ." მაგალითად, ,,ჩვენი შვილები" (ამბობს მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის განხილვისას) - სადაც ჩანს, რომ მას კარგად ესმის, როგორმა ნარატივმა შეიძლება მოახდინოს სასურველი შთაბეჭდილება, ამიტომ ის ცდილობს, ხალხს აჩვენოს, რომ მათ გვერდით დგას და მათი პრობლემა მისი პრობლემაა.

რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს, თინათინ ბოკუჩავას, ის არ ერიდება კრიტიკას როგორც ხელისუფლების, ასევე ბიძინა

ივანიშვილის მიმართ. როცა ოპონენტი კაცები აწყვეტინებენ, არ ჩერდება და აგრძელებს საუბარს. მაგალითად, გადაცემაში ,,რეაქცია“ ბოკუჩავა მის ოპონენტ პოლიტიკოს კაცს ეუბნება: ,,გთხოვთ, ნუ ყვირით ეთერში. ღრიალით და არაკომპეტენტურობით ვერ გადაფარავთ ჩემს საუბარს. ბევრი დრო წაიღეთ, რომ გელაპარაკათ სისულელეები. უზრდელობაში და უტაქტობაში ვერ შეგეჯიბრებით. ორ ხმაში რომ ილაპარაკოთ, თქვენ მაინც ვერ შეცვლით იმ ფაქტს, რომ თქვენ წარმოადგენთ იმ ხელისუფლების გუნდს, რომლის პრემიერ-მინისტრმა საზოგადოება შეიყვანა შეცდომაში.“ - აქ საკმაოდ კატეგორიული და კრიტიკულია. საკუთარ პოზიციას იცავს და არ აძლევს კაც პოლიტიკოსს საშუალებას, საუბარი შეაწყვეტინოს. მაგრამ თვითონ ხშირად აწყვეტინებს სხვებს საუბარს და მათთან დისკუსიაში შედის, თუ არ ეთანხმება მათ მოსაზრებებს. დღევანდელი ხელისუფლების გასაკრიტიკებლად მოჰყავს პროცენტული მაჩვენებლები, ასევე ციტატები. მაგალითად: ,,მე მომყავს კონკრეტული ციტატები და ისე გელაპარაკებით, კახა კალაძემ თქვა, რა მნიშვნელობა აქვს 2008 წლის ომი ვინ დაიწყოო?“ - ამით ცდილობს, მისი სათქმელი გაამყაროს და არგუმენტები მოიშველიოს. ბოკუჩავას ნარატივიდან გამომდინარე, არ მართლდება ფალბოს, პეპლაუსა და ფიშმენის თეორია, რომ ქალებს ეხერხებათ კონფლიქტურ სიტუაციაში უკან დახევა. პირიქით, თინათინ ბოკუჩავა არ ჩერდება და თავისი აზრის დასაფიქსირებლად უკან არ იხევს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ის ცდილობს საზოგადოების წინაშე წარსდგეს როგორც ძლიერი პოლიტიკოსი ქალი, რომელიც მის პოზიციას ბოლომდე იცავს.

ნინო ბუჯანაძეც ყოველთვის ბოლომდე ამთავრებს მის სათქმელს და ვინც არ უნდა შეაწყვეტინოს, არ ჩერდება, სანამ სათქმელს ბოლომდე არ მიიყვანს. ინგა გრიგოლია ხშირად აწყვეტინებს მას საუბარს, მაგრამ ბურჯანაძე არ ჩერდება და ეუბნება: ,,ერთი წუთით რა, ინგა, დამაცადეთ, დავასრულებ აზრს;“ ,,ინგა, თუ არ შემაწყვეტინებთ, აუცილებლად გეტყვით.“ აქ გამოვლინდა, ნინო ბურჯანაძის, (როგორც ჰეგემონი პოლიტიკოსი ქალის) ძალაუფლებრივი პოზიციის გამოხატვა, წამყვანის, (როგორც პოზიციით მასზე დაბლა მდგომის) მიმართ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბურჯანაძე მაშინ აწყვეტინებს წამყვანს კითხვის დასმას, როცა მას ბოლომდე არ აქვს შეჯამებული თავისი სათქმელი.

ნინო ბურჯანაძემ ბევრ გადაცემაში გამოხატა მისი ძალაუფლებრივი სტატუსი და პროფესიული კომპეტენტურობა, მაგალითად, ის ამბობს: ,,მე საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის ადამიანი ვარ, მე ვემზადები, ეთერში როცა მოვდივარ, ნებისმიერ ჟურნალისტთან“ (გადაცემა „რეაქცია“); „მე იურისტი ვარ, მაკა, და ვიცი, რომ განცხადება და მტკიცებულება ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება“ („აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“). ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს მის პროფესიაზე და ცოდნაზე, რომ ის კარგად ერკვევა იურიდიულ საკითხებში. მოჰყავს ციტატა მისი არგუმენტის დასასაბუთებლად, მაგრამ ზუსტად არ ახსოვს ამ ციტატის ავტორი: ,,თუ არ ვცდები, ჯეფერსონი თუ ვაშინგტონი ამბობდა, რომ ძალიან დიდი გამბედაობა სჭირდება იმ ადამიანს, ვინც გადაწყვეტს, რომ დაუპირისპირდეს მას, ვისაც ძალიან ბევრი ფული აქვს.“ აქედან ჩანს, რომ ბურჯანაძე ცდილობს, მოიშველიოს ცნობილი ადამიანების გამონათქვამები, რომ მის სათქმელს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს. გადაცემა ,,რეაქციაში“ წამყვანი ნინო ბურჯანაძეს მოულოდნელ კითხვას უსვამს, თუ რატომ გამოიყურება ასე მოწყენილი, ის კი პასუხობს: ,,იცით, არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეულწილად დამთრგუნა პარლამენტარების გამოსვლამ. რადგან თქვენ ესე აღიქვამთ, რომ მოწყენილი ვარ, გიპასუხებთ, მე სხვა სადარდებელი ნამდვილად არ მაქვს, გარდა იმისა, რასაც მე ქვეყანასთან მიმართებაში ვხედავ.“ ამ დისკურსის გასაანალიზებლად აუცილებლად გვჭირდება “Footing,” რადგან გოფმანის მიხედვით, “Footing“-ში მოსაუბრე და მსმენელი არ თანამშრომლობს ერთმანეთთან. პირიქით, ორივე მათგანი განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამს და შესაბამისად, მათ გასაანალიზებლადაც განსხვავებული სტრუქტურა გამოიყენება. ამ საუბარში აშკარაა, რომ წამყვანიც და თავად ბურჯანაძეც სხვადასხვა რამეს გულისხმობენ. როგორც ბურჯანაძე, ასევე წამყვანიც, სასურველ რიტორიკულ პერფორმანსს დგამენ. წამყვანი თავაზიანობას იჩენს, ხოლო ბურჯანაძე იყენებს Footing-ს, როგორც მანიპულაციის საშუალებას. ბურჯანაძის ნარატივში ხაზებს მიღმა იკითხება მისი, როგორც პოლიტიკოსი ქალის მცდელობა, შექმნას თავის ქვეყანაზე მზრუნველი პოლიტიკოსის იმიჯი. ეს თვალსაჩინოდ გამოიხატება მის სიტყვებში, როცა ის მის შინაგან მდგომარეობასაც კი ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან აკავშირებს.

ერთ-ერთ გადაცემაში, ნინო ბურჯანაძე ინგა გრიგოლიასთან სტუმრად ყოფნისას, აშკარად ცდილობს, წამყვანი დააკნინოს და ყველა სიტყვაში აგრძნობინოს, რომ მისი კითხვა არასერიოზულია. გრიგოლია ეკითხება: ,,აქამდე თქვენ იყავით ერთადერთი, ვინც ჩადიოდა მოსკოვში, ვგულისხმობ, მსხვილი პოლიტიკური პარტიებიდან, თქვენ იყავით, ვისაც ჰქონდა იქ შეხვედრები. დღეს პატრიოტთა ალიანსი საუბრობს ზუსტად იგივე თემებზე, რაზეც თქვენ საუბრობდით ხოლმე. რა ხდება, წაგართვეს ნიშა?“ ნინო ბურჯანაძე პასუხობს: ,,მე, სიმართლე გითხრათ, მეგონა, რაღაცა უფრო სერიოზული კითხვით დავიწყებდით ჩვენს გადაცემას, ასე ვთქვათ, თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე (მიმართავს წამყვანს). მე ვერავინ ვერაფერს ვერ წამართმევს, ინგა, მე მაქვს ის პოზიცია, რაც მაქვს. რას ქვია წამართვეს, არ წამართვეს, პატარა ბავშვები ხომ არ ვართ (იღიმის) და ეს ხომ არ არის რაღაცა სათამაშო, რომელიც ვიღაცამ შეიძლება წაგართვას? პირიქით, მე ვფიქრობ, რაც უფრო მეტი ადამიანი და პოლიტიკური ძალა იფიქრებს იმ პოზიციაზე, რასაც მე წლების განმავლობაში ვახმოვანებ, მით უკეთესია, მით უფრო ჯანსაღი დისკუსია იქნება.“ ცხადია, ნინო ბურჯანაძემ წამყვანის ეს კითხვა არასერიოზულად და არაადეკვატურად აღიქვა და ამაზე შესაფერისი კომენტარიც გააკეთა. აქ გამოხატა მისი დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ძალიან სერიოზული თემაა და არა სახუმარო და სათამაშო საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლია ეწინააღმდეგება მას იმაში, რომ კრემლთან მოლაპარაკებები სწორია, ის პასუხობს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები აუცილებელია. ნინო ბურჯანაძე ამბობს: ,,ახლა მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ, თუ ჩავიხვიეთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ასე ვერ გავაგრძელებთ. თუ 10 წინადადებაში 5-ჯერ გავიმეორებთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ამით ვერასოდეს შედეგს ვერ მივაღწევთ. ჩვენ თუ გვინდა, რომ გული მოვიფხანოთ, რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არ არის, მაგრამ ჩვენ თუ გვინდა, რომ საქმე ვაკეთოთ და რუსეთი ოკუპანტი არ იყოს, მაშინ უნდა ვიმოქმედოთ სწორად.“ გრიგოლია აწყვეტინებს: ,,თუ მოკლული ტატუნაშვილი მყავს, თუ უამრავი გატაცებული ადამიანი მყავს თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, თუ გადმოწეული მაქვს საზღვრები, რა აზრი აქვს მაშინ მოლაპარაკებებს, რომელსაც რუსეთი ითხოვს?“ ამაზე ბურჯანაძე პასუხობს: ,,ინგა, ძალიან გაოცებული ვარ თქვენი ამ კითხვით, გაოგნებული ვარ უბრალოდ, თქვენგან არ

ველოდი ამ კითხვას. თქვენ რომ არ გესმოდეთ ეს საკითხი და იყოთ ოროსანი ჟურნალისტი, არ გამიკვირდებოდა თქვენგან ეს კითხვა.“ ბურჯანაძის ეს დისკურსი აუცილებლად უნდა დავაკავშიროთ ვან დიკის სოციალურ-პოლიტიკურ მანიპულაციასთან, რომელიც განხილულია, როგორც ძალაუფლების გამომხატველი და იდეოლოგიის მატარებელი. მთელი გადაცემის განმავლობაში ბურჯანაძე ცდილობს წამყვანის ყველა კითხვას თავი აარიდოს, მისი მიმიკებიდან და კომენტარებიდან აშკარაა, რომ ინგა გრიგოლიას კითხვებს სრულიად ალოგიკურად და არასერიოზულად მიიჩნევს. გარდა ამისა, შეფარვით მან გრიგოლია ,,ოროსან ჟურნალისტებში“ მოიხსენია. ბურჯანაძე ასევე იყენებს დისკურსულ მანიპულაციას, როცა ჟურნალისტის არასერიოზულობასა და არაკომპეტენტურობაზე საუბრობს და მის თავს მასზე მაღლა აყენებს, თითქოს მის კითხვას არაფრად აგდებს.

საინტერესოა ის, რომ ზოგიერთ ქალი პოლიტიკოსის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ ისინი აკეთებენ კონკრეტული საკითხის უფრო ფართო კონტექსტზე აპელირებას, როგორც ამას ნორმან ფერკლოუს სამგანზომილებიანი მოდელი აღწერს. მაგალითად, მოზარდთა მკვლელობისა და ქალთა მიმართ ძალადობის განხილვისას ეკა ბესელია ამბობს: ,,ეს არ არის ერთი ოჯახის საქმე, ეს არის საერთო საზოგადოებრივი პრობლემა.“ ამით ბესელიას იმის თქმა უნდა, რომ ეს პრობლემები მხოლოდ ლოკალურად არ უნდა განიხილებოდეს და მხოლოდ ერთმა კონკრეტულმა ოჯახმა არ უნდა მოაგვაროს, რადგან მომავალში მსგავსი პრობლემები თავს იჩენს სხვაგანაც. ასევე უნდა აღვნიშნო, აპელირება ისეთ თემებზე, როგორიცაა ეროვნული ღირებულებები, რელიგიური მრწამსისა და ტრადიციების შელახვა. ამ თემებზე განსაკუთრებით ემოციურია ირმა ინაშვილი. ,,იმ გოგონას, რომელმაც 9 აპრილის მემორიალზე იცეკვა, მე წავიყვან პარიზში და გაბედოს ჟანა დარკის ძეგლზე ცეკვა. ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი და ვნახოთ, თუ არ ჩამოიღო იქიდან პოლიციამ.“ - ამით იმის თქმა უნდა, რომ გოგონას საქციელი, რომელმაც 9 აპრილის მემორიალზე იცეკვა, არ არის სწორი და ყველა ქვეყანაში იგივე რეაქცია ექნება ხელისუფლებას, რადგან ღირებულებების შელახვას არავის აპატიებენ. ასევე ,,მიუღებელია პრეზერვატივებზე წმინდა მეფეების გამოსახვა, მაშინ მიდი და ბებიაშენი გამოსახე პრეზერვატივზე და გამოიყენებს დანარჩენი

საქართველო. ეს არის ჩვენი ეროვნული ღირსების და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.“

ამ ქვეთავში მოყვანილი ემპირიული მონაცემები ქალების თვითპრეზენტაციისა და მათი ნარატივების წარდგენის შესახებ, შესაძლოა აიხსნას გოფმანის თეორიით, რომელიც გულისხმობს დრამატურგიულ მიდგომას და ხსნის პოლიტიკოსი ქალების მიერ განხორციელებულ პერფორმატიულ პრაქტიკებსა და მათ მიღმა ჩადებულ მნიშვნელობებს. გარდა ამისა, ამ ქვეთავში გამოჩნდა, რამდენად ძალაუფლების მატარებელია ქართველი ქალი პოლიტიკოსების დისკურსი. პოლიტიკოსი ქალები, საჭიროების შემთხვევაში, თავიანთ დომინანტურ პოზიციას აფიქსირებენ და მათ სოციალურ სტატუსზე ამახვილებენ ყურადღებას. ქალი პოლიტიკოსების მიერ კაცი პოლიტიკოსების საუბრის შეწყვეტას, ან მათ საუბარში ჩარევას, შესაძლოა ქალი პოლიტიკოსები თავდაცვის საშუალებად და კაცი პოლიტიკოსების დომინანტობის დასაფარავად იყენებდნენ. გარდა ამისა, როცა ისინი წამყვანებს აწყვეტინებენ საუბარს, ამით გამოხატავენ უპირატესობას ჟურნალისტთან შედარებით, როგორც პოზიციით მათზე დაბლა მდგომთან. პოლიტიკოსი ქალების ნარატივებიდან გამოჩნდა, რომ ყველა მათგანი ყურადღებას ამახვილებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგიერთი მათგანი მსჯელობისას იყენებს მაგალითებს საერთაშორისო გამოცდილებიდან. საუბრის დასრულებისას კი მოკლედ აჯამებენ იმ საკითხებს, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ქვეყნისთვის. გარდა ამისა, ქალი პოლიტიკოსების ნარატივებში ჩანს მათ სოციალურ სტატუსზე ხაზგასმაც და როგორც ამას ჯუდით ირვინი ამბობს, ისინი ცდილობენ, მათი მეტყველების სტილი სოციალურ გარემოზე მორგებული იყოს. რადგან მათი საუბარი სიტუაციურად იცვლება ფორმალურიდან არაფორმალურზე. მაგალითად, როცა ზოგიერთი პოლიტიკოსი წამყვანებს თქვენობით მიმართავს, შემდეგ კი გადადის შენობითზე-რაც, რასაკვირველია, დაკავშირებულია სასურველობის ეფექტის შექმნასთან.

1.3. გამოყენებული გრამატიკული ხერხები (მეტაფორა, ნაცვალსახელები და სინონიმები)

ქალი პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ მეტაფორებს, რითაც თავიანთ სათქმელს უფრო მეტ სიცხადესა და ხატოვანებას მატებენ. გარდა ამისა, მეტაფორებს დამარწმუნებელი ძალაც აქვთ და პოლიტიკოსებს ეხმარება, გადმოგვცენ ის, რისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით გამოხატვაც რთულია. ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული მეტაფორები დავყავი კატეგორიების მიხედვით და გავაანალიზე, თუ როგორ ვლინდება მათ მიერ გამოყენებულ მეტაფორებში ძალაუფლებრივი დისკურსი.

- ***მეტაფორები, რომლებიც ოპონენტებს დისკრედიტაციას უწევს და მათ უარყოფით ქმედებებზე და თვისებებზე მიუთითებს:***

მაგალითად, როდესაც ელენე ხოშტარია საუბრობს საქართველოს ხელისუფლების როლზე არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის ჩამოსასვენებლად, იყენებს შემდეგ მეტაფორას: ,,ეს არის **დიდი სილის გაწნა** ჩვენი სახელმწიფოსთვის რუსეთის მხრიდან.“ - აქ იგულისხმება, რომ რუსეთმა ამ საქციელით საქართველო ძალიან დაამცირა. ელენე ხოშტარია მეტაფორებით საუბრობს იმ პარტიაზე, რომლის წევრიც ადრე თვითონ იყო ,,სააკაშვილი და მისი გუნდი **ტალახს ისვრიან** და იცლიან სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ბრძოლისთვის.“ ამით, ხოშტარია ცდილობს ხაზი გაუსვას ოპონენტის უპრინციპო დამოკიდებულებას. მისი სიტყვები ამძაფრებს სათქმელს და მიანიშნებს რომ, ის ბრალს სდებს ოპონენტებს და ამასთანავე მათი მოქმედება ,,მოცლად“ მიაჩნია. როცა ხოშტარია ხელისუფლებას და არსებულ რეჟიმს აკრიტიკებს, იყენებს შემდეგ მეტაფორებს: ,,ნარკოტიკის ჯიბეში ჩადება არის **რეპრესიული იარაღი,** რომელსაც არ ემშვიდობება ეს ხელისუფლება.“ ,,ძალიან საშიში **სიმპტომია** (გულისხმობს ნარკოპოლიტიკას) და ამაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება.“ ,,დროა, ხელისუფლება **აბსურდის თეატრიდან** გამოვიდეს და დაასრულოს ეს პროცესი“ (საუბრობს ნარკოტიკის ჩადების ფაქტზე). ,,ყველა პოლიტიკოსს უნდა ესმოდეს, რომ, თუ არ შეასრულებ დანაპირებს და ადამიანებს უბრალოდ რაღაცა **ოქროს კოშკებს** პირდები, მაშინ აუცილებლად მოგიწევს თანამდებობის დატოვება. რადგან „ოქროს კოშკები” ამაო დანაპირებს გულისხმობს, მსგავსი მეტაფორით ელენე ხოშტარია ცდილობს ოპონენტი პირობის შეუსრულებლობაში ამხილოს.

თუ ზემოხსენებულ მეტაფორებს ძალაუფლებრივი დისკურსის კონტექსტში განვიხილავთ, ელენე ხოშტარია ოპონენტების ცუდ შედეგებზე ხაზგასმით, იყენებს დისკურსული მანიპულაციის ფორმას. გარდა ამისა, ხოშტარია იყენებს ისეთ მეტაფორებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება და ეს მეტაფორები გადააქვს პოლიტიკურ კონტექსტში, ანუ ახალ კონტექსტს არგებს, რითაც ყველასთვის გასაგებ ენაზე მიუთითებს მისი ოპონენტების უარყოფით ქმედებებზე.

ოპონენტების დასამცირებლად მეტაფორებს იყენებენ თინათინ ბოკუჩავა და ნინო ბურჯანაძეც. როცა ბოკუჩავა მიმართავს ,,ქართული ოცნების" წარმომადგენელს, იყენებს შემდეგ მეტაფორას: ,,ეტყობა, რაღაც **ღრუბლებში დაფრინავთ."** ამით, ოპონენტს უთითებს, რომ ადეკვატურად ვერ აფასებს რეალობას და ამასთანავე, საკითხს ზედაპირულად და არასწორად უყურებს. ნინო ბურჯანაძე ხშირად იყენებს მეტაფორებს ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი პრობლემების შესაფასებლად. ,,ის **ჭაობი**, რომელშიც არის მთლიანად ქვეყანა და რომელშიც არის პოლიტიკური ცხოვრება, ეს ჭაობი როგორმე დაძლეული უნდა იქნას." ასევე, ,,ქვეყანა სახელმწიფოებრივად ნამდვილად **უფსკრულისკენ** მიდის, ის რომ ამ წუთში ქვეყანა თავზე არ გვემხობა და **მიწა არ იძვრის ჩვენს ფეხქვეშ,** ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვითარდება." ,,იძახეთ რამდენიც გინდათ, ორ ხმაში, სამ ხმაში, თუ გნებავთ აკაპელაში, რომ ოკუპირებულია ტერიტორიები, ეგ არის **გულის ფხანა** და მეტი არაფერი. საჭიროა პირდაპირი დიალოგი და მოლაპარაკებები როგორც რუსეთთან, ასევე აფხაზებთან და ოსებთან." - გამოყენებული მეტაფორებით, ბურჯანაძე ცდილობს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს სათქმელს. ამასთანავე, მისი დისკურსით ლატენტურად ადანაშაულებს ხელისუფლებას. ბურჯანაძე მეტაფორებით იხსენიებს როგორც წინა ხელისუფლების, ასევე მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. ,,სააკაშვილი თავისი მოქმედებებით ყოველთვის აფუჭებს საქმეს მართლა **მაოხრებელი გზირივით."** იშველიებს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკს, რითაც ნათლად გამოხატავს, რას ფიქრობს სააკაშვილის შესახებ. ასევე, ,,მარგველაშვილმა ვერ აიღო **ბერკეტები** თავის ხელში." - რათაც მინიშნებას აკეთებს, რომ პრეზიდენტი სათანადოდ ვერ ასრულებს მის მოვალეობას. ,,ივანიშვილს ეგონა, რომ **მარიონეტებივით** ყველას და ყველაფერს წარმართვდა." ,,მე ვფიქრობ, რომ **ჩრდილიდან** მართვა არ არის სწორი და ეს

ქვეყნისთვის არ ვარგა.“ ,,ჩრდილიდან მართვაში“ მოიაზრებს ივანიშვილის მმართველობას, რომ ხელისუფლება მისგან იღებს გარკვეულ დავალებებს. როგორც ვხედავთ, ნინო ბურჯანაძე იყენებს ისეთ მეტაფორებს, რომლებსაც უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, და უფრო მეტად ამძაფრებს სათქმელს. მაგალითად, ,,მაოხრებელი გზირი,“ ,,ჭაობი,“ ,,უფსკრულისკენ მიექანება“ - ეს მეტაფორები უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და ბურჯანაძის დამოკიდებულებას გამოხატავს ოპონენტების მიმართ.

ასევე საინტერესოა ირმა ინაშვილის მეტაფორები წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ: ,,**ჩამქრალი ვარსკვლავივით** შერჩით სააკაშვილის პარტიას;“ ,,**ბოკერიების** მიერ ჩადენილი ქმედებები;“ ბოკერიებს საქართველოს ხელისუფლება **გამობმული ყავთ თოკზე“** - კრებითად და მრავლობითში მოხსენებით ის მთელ პოლიტიკუს პარტიას ლანძღავს. პრეზიდენტისა და ,,ქართული ოცნების“ განსხვავებულ მოსაზრებებზე ამბობს: ,,**პინგ-პონგის** რეჟიმში გრძელდება ეს დაპირისპირება.“ ანუ გულისხმობს, რომ პრეზიდენტისა და ,,ქართული ოცნების“ დაპირისპირება და შეჯიბრი უკვე თამაშს ჰგავს. ასევე ამბობს: ,,დღეს ხალხი **სხვა პლანეტაზეა** და ხელისუფლება კი სხვა პლანეტაზე. ამიტომ ხელისუფლებას არ ესმის ხალხის ტკივილი, ეს არის **ხიდჩატეხილობა,** რაც არის ძალიან მძიმე და ყველა ხელისუფლების შემთხვევაში ცუდად მთავრდება“ - ამით ის კიდევ უფრო გამძაფრებულად წარმოაჩენს ხელისუფლების ნეგატიურ მხარეებს. ირმა ინაშვილის მიერ გამოყენებული მეტაფორები ემსახურება როგორც ოპონენტების დაკნინებას, ასევე იმის დემონსტრირებას, რომ მას გული შესტკივა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე. ანუ ირმა ინაშვილიც, ისევე როგორც დანარჩენი ქალი პოლიტიკოსები, მიმართავს გოფმანის ცნობილ დრამატურგიულ ხერხს და საზოგადოების წინაშე დგამს სასურველ პერფორმანსს. კერძოდ, ის ცდილობს საზოგადოებას დაანახოს, რომ არსებულ მძიმე მდგომარეობას სათანადოდ სწორად აფასებს და ესმის ხალხის ტკივილი.

- *მეტაფორები, რომლებიც სათქმელს მეტ სიცხადეს მატებენ*

მეტაფორების ძირითადი დატვირთვა სწორედ ის არის, რომ ისინი სათქმელს უფრო ცხადად გადმოგვცემენ, ამიტომ ქალი პოლიტიკოსები ამ ხერხს ხშირად მიმართავენ. თეა წულუკიანი ბევრ გადაცემაში იყენებს შემდეგ მეტაფორას: **,,შავით თეთრზე წერია,“**

მაგალითად: ,,სტრასბურგის გადაწყვეტილება არის ერთადერთი და ის არის დაწერილი შავით თეთრზე. ერთხელ და სამუდამოდ **შავით თეთრზე** დაიწერა, ვრცლად, დასაბუთებით, რომ ის, რასაც სპეკულირებდა ნაციონალური მოძრაობა, თითქოს, ვანო მერაბიშვილის დევნა იყო პოლიტიკური, არასწორია.“ ამით ადასტურებს, რომ მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია ცხადია და რეალობას შეესაბამება.

თავის სიტყვებს მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინოს, ელენე ხოშტარია გარდა მეტაფორების გამოყენებისა, ერთ-ერთ გადაცემაში იყენებს გრამატიკულ ხერხს, ოქსიმორონს, რადგან ერთმანეთთან აკავშირებს შეუთავსებელ და ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს. დედაქალაქში არსებული პრობლემების განხილვისას ელენე ხოშტარია ამბობს: ,,უნდა განვითარდეს დედაქალაქი ისე, რომ ის არ იყოს **ბეტონების ტყე.“** - ეს სიტყვათშეხამება მან იმიტომ გამოიყენა, რომ საზოგადოებისთვის მძაფრად ეჩვენებინა არსებული პრობლემა, რომელსაც გრამშის ,,კულტურულ ჰეგემონიამდე“ მივყავართ, როცა სიმბოლური ელიტის, ამ შემთხვევაში პოლიტიკის წარმომადგენელი აუდიტორიას იდეოლოგიურად შთააგონებს მის მოსაზრებებს.

ასევე საინტერესოა, ნინო ნურჯანაძის მიერ გამოყენებული კიდევ ერთი მეტაფორა ,,თუ გამოჩნდება ისეთი კანდიდატი, როგორც ვამბობდით ყოველთვის, ე.წ. **დიმიტრი გელოვანი,** რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება და არ იქნება სიმბოლური ფიგურა, მზად ვარ ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად.“ დიმიტრი გელოვანში ის გულისხმობს პატიოსან, წესიერ და დადებით ადამიანს. როგორც შესანიშნავი ფილმიდან ,,არაჩვეულებრივი გამოფენა“ ვიცით, ,,წყნარი, პატიოსანი და ოჯახის შვილი მხოლოდ დიმიტრი გელოვანია.“ ნინო ბურჯანაზე ამ გავრცელებული მეტაფორით სათქმელს ხატოვნად და ყველასთვის გასაგებად გადმოსცემს.

იმისთვის რომ სათქმელი ცხადი და ამასთანავე დასაბუთებული იყოს ანი მიროტაძე იყენებს შემდეგ მეტაფორებს: **,,ქართული ოცნების ანატომია“** - ანუ მან ამ სიტყვებში იგულისხმა ქართული ოცნების შემადგენლობა. ასევე, ,,ეს არის ერთი **პოლიტიკური პოდიუმი** ქართული ოცნებისთვის, სადაც ადამიანებმა უნდა დაამტკიცონ თავიანთი პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა“ - ,,პოლიტიკური პოდიუმი“ - მეტაფორაა. ქართული ოცნების წარმომადგენლები მიროტაძემ პოდიუმს შეადარა, სადაც შექმნილის დემონსტრაცია ხდება, ანუ ,,პოლიტიკური პოდიუმი“ ის ადგილია, სადაც კოალიციას

აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი მიღწევები. მიროტაძის მიერ გამოყენებული მეტაფორა უნდა განვიხილოთ გოფმანის ,,პერფორმანსის'' ანუ შესრულების კონტექსტში, როცა ვლინდება შესრულების ხილული ნაწილი და მასზე დამატებული დრამატული გაცნობიერება. დრამატურგიული მიდგომა პოლიტიკოსებს ეხმარება აუდიტორიაზე სასურველი თვითპრეზენტაცია მოახდინონ.

- ***ნაცვალსახელები, რომლებიც გამოყენებულია ძალაუფლების ხაზგასასმელად და ამასთანავე გუნდის წევრობასა და ერთიანობას გამოხატავს***

ირმა ინაშვილი ხშირად იყენებს ნაცვალსახელს ,,ჩვენ" და არა ,,მე." იმავე სიტყვებს იყენებს ადა მარშანიაც: ,,ჩვენი პარტია," ,,ჩვენი ფრაქცია," ჩვენი გუნდი," რითაც ხაზს უსვამენ გუნდის წევრობასა და ერთიანობას. განსხვავებულია ნინო ბურჯანაძე, რომელიც იყენებს ნაცვალსახელს, ,,მე," რითაც მისი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს. ასეთივე ნაცვალსახელებს იყენებს თეა წულუკიანიც. ის ყოველთვის ცდილობს მისი პოზიციის და ძალაუფლებრივი სტატუსის ხაზგასმას. მაგალითად: ,,მე, როგორც ,,ქართული ოცნების" გუნდის წევრი;" ,,მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი;" ,,ჩემი სამინისტროს მიერ" და ა.შ.

- ***სინონიმები, რომლებიც სათქმელს მეტ დამაჯერებლობას სძენენ***

თავიანთ დისკურსში სინონიმებს იყენებენ ირმა ინაშვილი და ადა მარშანია. ამით ისინი ცდილობენ, სათქმელი ცხადად მიაწოდონ აუდიტორიას. მაგალითად, ,,ნებისმიერი საკითხი სტრატეგიული, მნიშვნელოვანი, საკვანძო, ქვეყანაში უნდა წყდებოდეს რეფერენდუმების საშუალებით" (ინაშვილი). ,,სამწუხაროდ, ჩვენმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, ჩვენმა ფრაქციამ ვერ მოისმინა ყოვლისმომცველი, ფუნდამენტალური, სტრატეგიული, პრაქტიკული და პრაგმატული ხედვა პრეზიდენტისა, სხვადასხვა, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან აქტუალური საკითხების მიმართ." მარშანიას მიერ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების გამოყენება უნდა განვიხილოთ ვან დიკის თეორიული ჩარჩოს კონტექსტში, როცა მანიპულაცია განხილულია როგორც სემიოტიკული ფენომენი, რადგან ის საუბრითა და ვერბალური გზავნილების საშუალებით ხორციელდება. სინონიმების გამოყენებით, ადა მარშანიას გზავნილი კი ის არის, რომ მარშანია ცდილობს საზოგადოებას გააგებინოს რაოდენ მნიშვნელოვანია და აუცილებელია პრეზიდენტის მხრიდან სწორი აქცენტების დასმა. ასევე ის ამბობს:

,,ვეთანხმები, ჩვენი პატივცემული მოქალაქეების მყარ, ძველ, ურყევ პოზიციას იმის თაობაზე, რომ რუსეთის ფედერაციასთან კონტაქტების გარეშე არ გამოვა არაფერი;“ -ამ სიტყვებით ის საზოგადოებაზე ახდენს ,,კულტურულ ჰეგემონიას,“ რადგან ცდილობს საკუთარი მოსაზრება საზოგადოებას იდეოლოგიურად თავს მოახვიოს. მარშანია მიიჩნევს, რომ რუსეთთან მოლაპარაკება აუცილებელია და ის საზოგადოების მოსაზრების დადებითად შეფასებით, ახსენებს მათ, თითქოს რუსეთთან მოლაპარაკება მათი ინტერესის სფეროცაა.

იდენტური მნიშვნელობის მატარებელი სიტყვების გამოყენებით, ქალი პოლიტიკოსები ცდილობენ, რაიმე მოვლენა ან საკითხი უფრო მეტად დამაჯერებელად წარმოაჩინონ.

ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული გრამატიკული ხერხები იდეოლოგიური და ექსპრესიული დატვირთვის მატარებელია. მათი საშუალებით ქალი პოლიტიკოსები თავიანთ ნარატივებში გამოხატავენ საკუთარი პოლიტიკური გუნდის წევრობას, ასევე ოფიციალური დისკურსის ფარგლებში ცდილობენ თავიანთ სათქმელს მეტი დამაჯერებლობა და ხატოვანება შესძინონ. ამას გარდა, ისინი გამოხატავენ თავიანთ სოციალურ სტატუსსა და ძალაუფლებრივ დისკურსს.

დასკვნა

ჩემი სამაგისტრო კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ სატელევიზიო პოლიტიკურ გადაცემებში (ტოქშოუებში) ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოვლენილი ძალაუფლებრივი დისკურსი სხვადასხვა სახით გამოიხატება. ისინი თვითპრეზენტაციას ახდენენ, როგორც ძლიერი და კომპეტენტური პოლიტიკოსი ქალები. თითოეული პოლიტიკოსი ქალი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ცდილობს, მოახდინოს მისი ძალაუფლებისა და სოციალური სტატუსის დემონსტრირება.

გადაცემების დისკურსულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსი ქალები საზოგადოების თვალში ცდილობენ, დადგან იმგვარი პერფორმანსი, რომ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ აუდიტორიაზე. ეს გამოიხატება მათ მიერ გამოყენებულ ინტერაქტიულ სტრატეგიებში. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი თვითპრეზენტაციისას ცდილობს იყოს თავაზიანი, წამყვანების მიმართ გამოხატავენ უშუალო დამოკიდებულებას, ირგებენ მეტყველების ოფიციალურ სტილს. გარდა ამისა, მათ ნარატივებს ეტყობა, რომ აუდიტორიასთან შესახვედრად მომზადებულები არიან. ასევე, იყენებენ იდეოლოგიურად დატვირთულ სხვადასხვა რიტორიკულ ხერხებს, თავიანთი კომპეტენტურობისა და ძალაუფლებრივი სტატუსის გამოსახატავად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული დისკურსული ტექნიკები:

1. იდეოლოგიური მნიშვნელობის ნარატივები, რომლებიც მათ ძალაუფლებას, სოციალურ სტატუსსა და ქალის როლს ასახავენ პოლიტიკაში.
2. ექსპრესიული მნიშვნელობის გამომხატველი ნარატივები, რომლებიც მიუთითებენ მათ დადებით და მათი ოპონენტების უარყოფით თვისებებსა და შედეგებზე.
3. გრამატიკული და ლექსიკური ხერხები, (მეტაფორა, ნაცვალსახელები და სინონიმები) რითაც თავიანთ სათქმელს მეტ დამაჯერებლობას სძენენ.
4. გამოყენებული რიტორიკული პერფორმანსის ტექნიკები, სოციალურად სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად, როგორიცაა “code switching“ ანუ ,,კოდის გადართვა“ და “footing.“

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსები, სასურველი შთაბეჭდილების მოხდენის მცდელობიდან გამომდინარე, ცდილობენ, რიტორიკული პერფორმანსი შესაბამის „ჩარჩოებში" მოაქციონ და როცა უნებურად ადგილი აქვს „ჩარჩოდან ამოვარდნილ" ნარატივს, ისინი მომენტალურად ცდილობენ მის „ჩარჩოში დაბრუნებას." ამისთვის კი სხვადასხვა რიტორიკულ ხერხს იყენებენ.

კაცი პოლიტიკოსებით დომინირებულ გარემოცვაში, ქართველი ქალი პოლიტიკოსები ცდილობენ, აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ, როგორც ძალაუფლების მქონე და ძლიერი პოლიტიკოსები. მათ მიერ თავიანთ ძლიერ მხარეებზე აპელირება გვაფიქრებინებს იმას, რომ ისინი ცდილობენ დაამსხვრიონ საზოგადოებაში გავრცელებული სოციალური და გენდერული სტერეოტიპები იმასთან დაკავშირებით, რომ ქალ პოლიტიკოსს კაც პოლიტიკოსზე ნაკლები ძალაუფლება აქვს. ამიტომ ,,წინა რეგიონისთვის" დამახასიათებელი ,,სცენური აღკაზმულობით," (რაც გამოიხატება მათ მიერ გამოყენებული მანიპულაციის ფორმებით, ოპონენტების მიმართ დომინანტური დამოკიდებულების გამოხატვით, განსაკუთრებით რიგითობის დაცვა-არდაცვის, მეტაფორების თუ footing-ის გამოყენებით) ქართველი ქალი პოლიტიკოსები ცდილობენ, კაცებით დომინირებულ პოლიტიკურ ველში, ქალის სტატუსი პოლიტიკაში წარმოაჩინონ, როგორც არა სუბორდინირებული, არამედ დამოუკიდებელი და ძლიერი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Austin, J., L. (1962). *How To Do Things With Words.* Oxford: The Clarendon Press.
2. Bakhtin, M. (1981). *The Dialogic Imagination: Four Essays*. Austin, TX: University of Texas Press.
3. Castells, M. (1996). *The Rise of the Network Society: The Information Age: Economy, Society, and Culture.* Oxford: Blackwell Publishers.
4. Cejka, M., A. & Eagly, A., H. (1999). Gender-stereotypic images of occupations correspond to the sex segregation of employment. *Personality and Social Psychology Bulletin,* 25(4), 413-423.
5. Coates, J. (1997). Gender and Discourse Analysis (90-103). *The Routledge Handbook of Discourse Analysis* (2011). Gee, J. P. & Handford, M. (eds.) London: Routledge.
6. Deaux, K., & Lewis, L., L. (1984). Structure of gender stereotypes: Interrelationships among components and gender labels*. Journal of Personality and Social Psychology,* 46(5), 991-1004.
7. van Dijk, T., A., V. (Ed.). (1985b). *Discourse and communication. New approaches to the analysis of mass media discourse and communication.* Berlin: de Gruyter.
8. van Dijk, T., A., V. (2006). *Discourse and manupulation.* London: SAGE Publications.
9. van Dijk, T., A., V. (1996). Discourse, power and access*. Texts and Practices: Readings in Critical Discourse Analysis.* London: Routledge and Kegan Paul.
10. Eagly, A., H., Wood. W., & Diekman, A., B. (2000). Social Role Theory of Sex Differences and Similiarities: A Current Apprisal. Eckers, T & Trautner, H. M. (Eds.), *The developmental social psychology of gender*. Mahwah, NJ: Erlbaum.
11. Fairclough, N. (1989). *Language and Power.* London: Longman Group.
12. Fairclough, N. (1995). *Critical discourse analysis: Analysing Discourse: Textual Analysis for Social Research.* New York: Longman.
13. Fishman, P. (1983) *Interaction: The Work Women Do.* Santa Barbara: University of California Press.
14. Goffman, E. (1981). *Forms of Talk.* Philadelphia: University of Pennsylvania Press.

15. Goffman, E. (1956). *The Presentation of Self in Everyday Life.* Edinburgh: University of Edinburgh.

16. Irvine, J. (Ed.). (2001). "*Style" as distinctiveness: the culture and ideology of linguistic differentiation.* In P. Eckert, & J., R. Rickford. *Style and Sociolinguistic Variation.* Cambridge: Cambridge University Press.

17. Kendall, S., Tannen, D. (2001). Discourse and Gender (548-567). Shiffrin, D. (ed.). *The Handbook of Discourse Analysis*. London: Blackwell.

18. Lakoff, R. (1975). *Language and Woman's Place*. New York: Harper & Row.

19. Lakoff, G. (1987). *Women, Fire, and Dangerous Things.* Chicago & London: The University of Chicago Press.

20. Lears, T., J. (2016). *The Concept of Cultural Hegemony*. Oxford: Oxford University Press.

21. O'Barr, W., M. & Atkins, B., K. (1980). "*Women's language" or "powerless language"?* In S. McConnell-Ginet, N. Borker, & R. Thurman (eds.), *Women and Language in Literature and Society*. New York: Praeger, 93-110

22. Schneider, M., C. & Bos, A., L. (2013). *Measuring Stereotypes of Female Politicians.* Journal of Political Psychology, მოძიებულია 10 ივნისი, 2018 *http://www.users.miamioh.edu/schneimc/Schneider%20and%20Bos_PP.pdf*

23. Weiss, T., G. & Wodak, R. (2003). *Critical Discourse Analysis Theory and Interdisciplinarity.* Palgrave Macmillan Ltd.

24. ზერძენიშვილი, ა. (2012). *პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოება.* მოძიებულია 10 ივნისი, 2018, http://socium.ge/downloads/politikurisociologia/politikuri-komunikacia-da-sazogadoeba.pdf.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ani Lemonjava

Power Discourse in Georgian Female Politicians' Narratives (Based on Political Talk-Shows)

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Social and Cultural Studies

Thesis supervisors: Lia Tsuladze – PhD in Sociology,
Associate Professor at Tbilisi State University
Amiran Berdzenishvili – PhD in Philosophy,
Professor at Tbilisi State University

Tbilisi
2018